ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ—ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
კვირა 6 აპრილი
№ 81 (17724)
ფასი 2 კაპ.

შრომისათვის, მამაცობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა 1979 წელს მკაფიო ფურცელი ჩაწერეს შრომითი წარმატებების მატიანეში. მათ შარშან მოიწიეს ყურძნის, ჩაის, ციტრუსებისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების არნახული მოსავალი, თავი გამოიჩინეს მეცხოველეობის პროდუქტების, მარცვლეულის, ბოსტნეულის წარმოებაში.

მათმა გამარჯვებებმა დიდი წვლილი შეიტანა იმ საერთო წარმატებაში, რომლის გამოც რესპუბლიკას ზედიზედ მეშვიდედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ახალ წარმატებებს შთააგონებს მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმების გულთბილი სიტყვები ხუთწლედის მეოთხე წელს მიღწეულ სახელოვან შრომით გამარჯვებებთან დაკავშირებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი ჯგუფისათვის მინიჭებული სსრ კავშირის ორდენები და მედლები სამშობლოს საკეთილდღეოდ მათი მამაცური შრომის ღირსეული შეფასებაა.

4 აპრილი სამუდამოდ დაამახსოვრდებათ დაჯილდოებულთ, რომლებსაც თბილისში გადაეცათ ორდენები და მედლები. შუადღისას მათ გვირგვინით შეამკეს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი მისი სახელობის მოედანზე, ხოლო ნაშუადღევს თავი მოიყარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

აქ გაიმართა მათთვის ორდენებისა და მედლების გადაცემის საზეიმო ცერემონია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლამქარაშვილმა წაიკითხა ბრძანებულება იმის შესახებ, რომ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტ-კომბაინერს ი. დ. ალექსაშვილსა და წალენჯიხის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის ჩაის საკრეფი მანქანის მძღოლს გ. თ. სახოკიას, რომლებმაც ეს საპატიო წოდება დაიმსახურეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის, 1979 წელს მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ყურძნისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში შრომითი მამაცობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ გადასცა მათ ლენინის ორდენი და ოქროს მედლები „ნამგალი და ურო". წაიკითხეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავენი სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის, 1979 წელს მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ყურძნისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში გამოჩენილი შრომითი მამაცობისათვის.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე ლენინის ორდენს გადასცემს გორის რაიონის ხვითის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მებოსტნეს ი. ს. სამხარაძეს. ოქტომბრის რევოლუციის ორდენები გადაეცათ საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივანს ა. ვ. ბარისაშვილს, ქარელის რაიონის ბებნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ნ. ა. კვიციანიძეს, ბოლნისის საბჭოთა მეურნეობის მევენახეს ლ. დ. ქობულაძეს.

დაჯილდოებულთ გადაეცათ აგრეთვე შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის, „საპატიო ნიშნის" ორდენები, III ხარისხის შრომითი დიდების ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებისათვის".

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ სოციალისტური შრომის გმირები ი. დ. ალექსაშვილი და გ. თ. სახოკია, აგრეთვე ბოლნისის რაიონის ფახრალოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეკარტოფილე რ. მ. ფატულაევა, დმანისის რაიონის ვარდისუბნის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების მმართველი ლ. გ. მინასიანცი, საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი ა. ვ. ბარისაშვილი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორი გ. ვ. გეგენავა და თეთრი წყაროს რაიონის ჯორჯიაშვილის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მებოსტნე დ. პ. შიხიაშვილი. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის საერთო სახალხო ბრძოლის საქმეში მათი წვლილის მაღალი შეფასებისათვის და პირობა დადეს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა უთუოდ შეასრულონ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ". სამშობლოს, ხალხის წინაშე თავიანთი მოვალეობის დიდ შეგნებას მოწმობს დაჯილდოებულთა მიერ ნაკისრი ახალი სოციალისტური ვალდებულებანი.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დაჯილდოებულთ და მათი სახით საქართველოს სსრ ყველა სოფლის მშრომელს მიულოცა 1979 წლის მუშაობის მაღალი შედეგები, მადლობა გადაუხადა სამშობლოს დავალებათა შესასრულებლად თავდადებული შრომისათვის.

ყოველი ჯილდო — ეს არის სტიმული ბრძოლაში ახალი მიღწევებისათვის, კიდევ უფრო მაღალი მიჯნებისათვის, თქვა მან. დღეს საპატიო ჯილდოებს რომ გადმოგცემთ, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ და თქვენი კოლექტივები კიდევ მეტ წვლილს შეიტანთ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებაში, ყველაფერს იღონებთ რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის გადიდებისათვის.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საქართველოს მშრომელთა წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას. მათი შესრულება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ იშრომებს მინდორსა და პლანტაციაში, მეცხოველეობის ფერმაში, ფაბრიკასა თუ ქარხანაში თითოეული კოლმეურნე, თითოეული მუშა.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ ყველა მშრომელის ენთუზიაზმის, თავდადების შემწეობით რესპუბლიკა შეასრულებს მეათე ხუთწლედის ყველა უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიხედვით, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მთავრობის სახელით კიდევ ერთხელ მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა ახალი წარმატებები, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა და ბედნიერება.

სახელმწიფო ჯილდოების გადაცემას ესწრებოდნენ ამხანაგები გ. ვ. კოლბინი და ს. ე. ხაბეიშვილი.

* * *

მადლიანია კახეთის — საქართველოს მთავარი ბეღლის მიწა. სასახელოა მისი მევენახეებისა და მებაღეების, მემინდვრეებისა და მეცხოველეების საქმენი. ისინი წლითიწლობით ამრავლებენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა შესანიშნავ წარმატებებს. თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. კახეთის რაიონის მშრომელებმა ხუთწლედის მეოთხე წელს სამშობლო გაახარეს ყურძნის, მარცვლეულის, მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების რეკორდული მოსავლით. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული დიდი წარმატებებისათვის 1979 წელს მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მათი მიყიდვის გადიდების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში გამოჩენილი შრომითი მამაცობისათვის ამ რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

სამშობლოს მაღალი ჯილდოების საზეიმოდ გადაცემა გაიმართა 4 აპრილს თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სადაც თავი მოიყარეს ხუთწლედის გვარდიელებმა, სოციალისტური შეჯიბრების მეწინავეებმა კახეთის ყველა რაიონიდან, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა მუშაკებმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ჯილდოების განყოფილების გამგე ე. ს. ზენაიშვილი კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი ლენინის ორდენს გადასცემს სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის მევენახეს მ. მ. ბეგიაშვილს, ახმეტის რაიონის ოჟიოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს რ. ი. დარჩიაშვილს, საგარეჯოს რაიონის მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს ც. ვ. კუჭუაშვილს. ოქტომბრის რევოლუციის ორდენები გადაეცათ ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" მეთამბაქოეს ა. ა. ბექოშვილს, გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმის" ბრიგადირს ო. ა. ირომაშვილს, თელავის რაიონის სოფელ კონდოლის კოლმეურნეობის მევენახეს გ. ი. ოთარაშვილს, საგარეჯოს რაიონის სოფელ კრასნოგორკის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნ. ი. რემიზოვას, გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობის ტრაქტორისტს ა. ი. სონღულაშვილს. დაჯილდოებულთ გადაეცათ აგრეთვე შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის, „საპატიო ნიშნის", III ხარისხის შრომითი დიდების ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებისათვის".

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ ც. ვ. კუჭუაშვილი, ო. ა. ირომაშვილი, მ. მ. ბეგიაშვილი, რ. ი. დარჩიაშვილი, თელავის სახელმწიფო სანერგე საბჭოთა მეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი გ. გ. ჯავახიშვილი, რომლებმაც პარტიასა და მთავრობას მხურვალე მადლობა გადაუხადეს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის, სოფლის მშრომელებზე ზრუნვისათვის, აღუთქვეს, რომ ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ დამამთავრებელი წლისა და მთელი მეათე ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით ამხ. პ. გ. გილაშვილმა გულითადად მიულოცა ყველა დაჯილდოებულს და უსურვა ახალი დიდი წარმატებები შრომაში და ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

ამხ. პ. გ. გილაშვილმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ კახეთის მიწათმოქმედნი, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელი, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, გამარჯვების 35-ე წლისთავს, ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისათვის მზადებას. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ლენინური პრემიის გადაცემის დროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვასთან დაკავშირებული ორგანიზატორული და პროპაგანდისტული ღონისძიებების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ტრილოგიისათვის „მცირე მიწა", „აღორძინება" და „ყამირი" ლენინური პრემიის გადაცემის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვა დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობის საერთო-პარტიული დოკუმენტია, რომელშიც ყოვლის მომცველად და ღრმად, მარქსისტულ-ლენინურად არის გაანალიზებული პარტიისა და ხალხის წინაშე სადღეისოდ დასახული აქტუალური ამოცანები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას, ხაზგასმულია, რომ შექმნილი საერთაშორისო ვითარების გამო ფალია მშრალად უნდა ვიქონიოთ, სიმტკიცე და თანამიმდევრობა უნდა გამოვიჩინოთ მშვიდობის საქმის, სსრ კავშირის კონსტიტუციაში დამკვიდრებული მშრომელთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში, გვახსოვდეს კომუნისტური პარტიის ისტორიული პასუხისმგებლობა სამშობლოს და მთელი კაცობრიობის ბედისათვის.

დასახა რა ოთხმოციან წლებში ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის, საზოგადოებრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარების მრავალფეროვანი და რთული საკითხების გადაწყვეტის გზები, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმას, რომ საჭიროა ამაღლდეს თითოეული საბჭოთა ადამიანის დისციპლინა, კეთილსინდისიერება და გულმოდგინება იმ უბანზე, სადაც იგი შრომობს, დაიხვეწოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და მართვის ორგანოების საქმიანობა.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საკითხები. ადამიანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, მორალური და ესთეტიკური აღზრდის თანამედროვე ამოცანები შეუთავსებელია მატერიალური და სულიერი განვითარების ჩამორჩენასთან, უსულგულო და უგნურ ფორმალიზმთან, აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში შაბლონობასა და ლაყბობისადმი, კაზიონურობისა და მექანიკური გადამღერებისადმი მიდრეკილებასთან. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ისახავს მიზნად რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის პარტიულ ორგანიზაციებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მასალები.

იდეურ-აღმზრდელობითი და საინფორმაციო მუშაობის გაღრმავებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას ბევრად შეუწყო ხელი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებმა „მცირე მიწამ", „აღორძინებამ" და „ყამირმა", რომლებიც პარტიულ მუშაკთა ნამდვილი ენციკლოპედია.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები რესპუბლიკის მშრომელებს აღაფრთოვანებს ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის, მათ ენერგიას, თავდადებულ შრომას, შემოქმედებითს აქტიურობას წარმართავს მეათე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებული და უთუო შესრულებისათვის საბრძოლველად, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებმა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოველი ინტერესი და მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია, რასაც მოწმობს პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების, მშრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემაში ტრილოგიის საყოველთაო საფუძვლიანი შესწავლა, „მცირე მიწისა" და „აღორძინებისადმი" მიძღვნილი სამეცნიერო სესია რესპუბლიკის პარტიული და იდეოლოგიური აქტივის მონაწილეობით, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ყამირის" მიხედვით იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები, მრავალი სამეცნიერო-პრაქტიკული, თეორიული, მკითხველთა კონფერენცია რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში, ბევრ დიდ შრომითს კოლექტივში, კლუბებში, კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რა უაღრესად დიდი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს ლენინური პრემიის გადაცემის დროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ ლენინური პრემიის გადაცემის დროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის დებულებათა ფართო და გეგმაზომიერი პროპაგანდა.

ამ მიზნით მათ წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და შეასრულონ იდეოლოგიურ მუშაობაში ფორმალიზმისა და კაზიონურობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებების განხორციელების კონკრეტული გეგმები; ყველგან — საწარმოებში, მშენებლობებზე, სატრანსპორტო ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას გაშალონ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ღრმა საფუძვლიანი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რისთვისაც გამოიყენონ ყველა ფორმის ზეპირი პოლიტიკური აგიტაცია, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებები, თვალსაჩინოება.

პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლებისა და და მშრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემაში, კომუნისტური შრომის სკოლებსა და სახალხო უნივერსიტეტებში უნდა მოეწყოს ამხანაგ ლ ი. ბრეჟნევის სიტყვის ძირითად დებულებათა გაღრმავებული შესწავლა პროგრამასთან მჭიდრო კავშირით.

კლუბებში, კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში უნდა მოეწყოს ლექციები, წიგნებისა და სურათების გამოფენები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებების მიხედვით, განვაგრძოთ სამეცნიერო-პრაქტიკული, თეორიული და მკითხველთა კონფერენციების გამართვა ტრილოგიის შესახებ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის გამო მთელი პროპაგანდისტული და ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ იმ ნიშნით, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა, მათი ენერგია, ინიციატივა, შემოქმედებითი ძიება მოვახმაროთ მეათე ხუთწლედის დავალებების, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების 35-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ მაღალ სოციალისტურ ვალდებულებათა უთუო შესრულებას, იმ ნიშნით, რომ განუხრელად გავზარდოთ მასების დისციპლინა და შეგნება.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ ფართოდ ჩააბან პროპაგანდისტულ მუშაობაში ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკები; მიაღწიონ, რომ ისინი აქტიურად და სისტემატურად გამოდიოდნენ პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი; ყველაფერი იღონონ, რომ მთელი აღმზრდელობითი, საინფორმაციო, პროპაგანდისტული მუშაობა ცოცხალი, შემოქმედებითი ხასიათისა იყოს.

გადაწყდა 1980 წლის ნოემბერში გაიმართოს იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „ლენინური პრემიის გადაცემის დროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის მიხედვით პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობაში ფორმალიზმისა და კაზიონურობის აღმოფხვრის გზები და საშუალებები".

ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ სახტელერადიოს, საქინფორმს დაევალათ ფართოდ და მიზანდასახულად გაუწიონ პროპაგანდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, გამოაქვეყნონ რესპუბლიკის მშრომელთა გამოხმაურებანი ამ სიტყვის გამო. (საქინფორმი).

6 აპრილი გეოლოგის დღეა

გულადი ადამიანები

რეპორტაჟი



ზოგ მათგანს, წიაღის მზვერავს უწოდებენ, ზოგს — მაძიებელს, პირველმკვლევს. მაგრამ არის ერთი შეუცვლელი სიტყვა — გეოლოგი.

სად არ შეხვდებით ამ ძნელი პროფესიის ხალხს. რაოდენი მამაცობა, სიმტკიცე მოეთხოვება მათ. ისინი დადიან მთებში და ხეობებში, მათ განკარგულებაშია თვითმფრინავები და ვერტმფრენები, ახალი ტექნიკა.

ისინი ეძიებენ და ბევრ რამეს პოულობენ სვანეთის მთებშიც, ქართლისა და კახეთის ბარშიც. მათი შრომა მეფოლადეთა მუშაობას შეიძლება შევადაროთ — ისინიც დღედაღამ შეუსვენებლად მუშაობენ. თავიანთ ზეიმს — გეოლოგის დღეს ისინი ჩვეულებრივ ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ ხოლმე, ეს ტრადიცია არც წელს დაურღვევიათ.

დღეს ჩვენ რეპორტაჟს გადმოგცემთ თერმული წყლების ღრმა სადაზვერვო ბურღვის ექსპედიციიდან. ექსპედიციის უფროსთან ნოდარ ხუხიასთან ერთად ქარელის რაიონს მივაშურეთ. რაიონული ცენტრიდან გზა ყინწვისისაკენ უხვევს. აქ მდინარე ძამის ნაპირას თავიანთი დღის წინ გეოლოგებმა ახალი საბურღი კოშკი დადგეს. ბევრი იშრომეს მის დასამონტაჟებლად ექსპედიციის წევრებმა. და აი, ბურღვა გათვალისწინებულ ვადაზე ადრე დაიწყეს.

საბურღი მილი ნელ-ნელა იკვლევს გზას მიწის წიაღისაკენ, ჩვენ კი კოშკის მახლობლად დავსხედით და საუბარი განვაგრძეთ. საუბრიდან შევიტყვეთ, რომ ექსპედიციის კოლექტივმა შარშანდელი წელი დიდი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა. ამისათვის გადასცეს მას სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს და გეოლოგიური სამსახურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა.



წარმატებით შრომობს კოლექტივი წელსაც. იგი ლენინის საიუბილეო ვახტზე დადგა და ვადამდე შეასრულა ხუთწლედის საბოლოო წლის პირველი კვარტალის გეგმა. გეგმის გადამეტებით გაბურღულია 231 მეტრი ქანები. ექსპედიციას სხვადასხვა სპეციალობის მაღალკვალიფიციური კადრები ჰყავს. ახლად დამონტაჟებული კოშკის მუშაობას ხელმძღვანელობს გამოცდილი ოსტატი ლევან მოდრეკილაძე, მისი თანაშემწეა ლევან ბარნაბიშვილი, მბურღავები არიან ელიზბარ ხაჩირაშვილი და ვაჟა გოგოლაძე, ელექტრიკოსია ვლადიმერ დევაძე. ეს სია კიდევ შეიძლება განვაგრძოთ.

დღეს — გეოლოგიის დღეს ისინი ჩვეულად დგებიან თავიანთ სამუშაო ადგილებზე და შრომითს ვახტს განაგრძობენ.

დღესასწაულს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო — წიაღის დამპყრობლებო!

ვლ. გინზბურგი.

სურათებზე: ზემოთ — ახალი საბურღი კოშკი მდინარე ძამის მიდამოებში. ექსპედიციის უფროსი ნ. ხუხია; გეოლოგების ჯგუფი (მარცხნიდან): მბურღავის თანაშემწეები ვლადიმერ და თამაზ გოგოლაძეები, მბურღავი ელიზბარ ხაჩირაშვილი, ოსტატი ლევან მოდრეკილაძე, მბურღავი ვაჟა გოგოლაძე, მბურღავის თანაშემწე ოთარ გოგოლაძე, ელექტრიკოსი ვლადიმერ დევაძე.

წიაღისეულის მზვერავთა დღესასწაული

მოსკოვი

ქვეყნის მინერალურ-სანედლეულო ბაზის განმტკიცებაში დიდი წვლილი შეაქვთ გეოლოგებს. ხუთწლედის დამდეგიდან სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩადგა ასობით მიწისქვეშა ბუდობი. მარტო დონბასში, კუზბასში, სამხრეთ იაკუტიისა და ყარაღანდის ქვანახშირის აუზებში დამთავრდა დაახლოებით სამი მილიარდი ტონა სათბობის საერთო მარაგის საბადოების ძიება.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების წარმოებისშიდა რეზერვების გამოყენების შესახებ, რომლებიც დარგის მშრომელებს საშუალებას მისცემს უფრო ეფექტიანად იმუშაონ, ილაპარაკეს წიაღის მზვერავთა პროფესიული დღესასწაულისადმი — გეოლოგის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების მონაწილეებმა. ეს კრება 4 აპრილს გაიმართა მოსკოვში. ცენტრალურ სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში თავი მოიყარეს ხუთწლედის დამკვრელებმა, შრომის ვეტერანებმა, მეცნიერებმა, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

პრეზიდიუმში იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. ვ. არხიპოვი, ნ. კ. ბაიბაკოვი, ვ. ი. მარჩუკი, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრმა ე. ა. კოზლოვსკიმ. (საკდესი).

თბილისი

რესპუბლიკის გეოლოგებმა შარშან სასარგებლო წიაღისეულის უმდიდრესი საბადოები აღმოაჩინეს. ნავთობი და მადანი, ფერადი თვლები და სამშენებლო მასალები — აი არასრული ნუსხა მიწის განძეულისა, რომელიც ხუთწლედის სამსახურში ჩააყენეს ქართველმა გეოლოგებმა.

გეოლოგის დღეს მათ თავიანთ საზეიმო სხდომაზე შეაჯამეს 1979 წლის დაძაბული შრომის შედეგები, დასახეს მომავლის კონკრეტული ამოცანები.

საზეიმო სხდომა, რომელიც გეოლოგის დღეს მიეძღვნა, გახსნა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ვ. გოძიაშვილმა. დამსწრეთა ტაშის გრიალში ერთსულოვნად ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საქართველოს გეოლოგების მიერ ხუთწლედის მეოთხე წელს გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ გ. ვ. თოიძემ.

წაიკითხეს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს კოლეგიისა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ქართველი გეოლოგებისადმი.

საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი. (საქინფორმი).

ლენინი და საქართველო

საქართველოს დედაქალაქში გრძელდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს", რომელიც ეძღვნება დიდი ბელადის დაბადების 110-ე წლისთავს. მორიგი კითხვა, რომელიც 5 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის სააქტო დარბაზში, გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. ვ. გორგინიძემ.

მოხსენება „ვ. ი. ლენინი და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ზოგიერთი საკითხი" გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. გ. სტურუამ.

საზოგადოებრივ - პოლიტიკურ კითხვას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ი. ქარუმიძე. (საქინფორმი).

საბჭოთა დელეგაცია კუბაში გაემგზავრა

5 აპრილს საბჭოთა კავშირ-კუბის კულტურული თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიის I სესიაში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან კუბაში გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პ. ნ. დემიჩევის მეთაურობით.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ი. დოლგიხმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა, აგრეთვე კუბის რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში სევერო აგირე დელ კრისტომ. (საკდესი).

საუბარი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში

4 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ეწვია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სადაც გაეცნო სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთგამოცდის 1979 წლის შედეგებს.

სახელმწიფო მასშტაბით ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს დასაბამი მისცა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებამ, რომელსაც ხელი მოაწერა ვ. ი. ლენინმა. დადგენილებაში ხაზგასმული იყო, რომ მეთესლეობის ორგანიზაცია რესპუბლიკაში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უპირველესი ამოცანაა. დიდი მუშაობა წარმოებს ამ დარგში ბოლო წლების მანძილზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „მარცვლოვანი, ზეთოვანი კულტურებისა და ბალახეულის სელექციისა და მეთესლეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა, მეცნიერებმა და სელექციონერებმა ილაპარაკეს იმ სამუშაოთა შედეგებზე, რომელთა მიზანია უხვმოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოყვანა, აგრეთვე აქტუალურ პრობლემებზე, რომლებიც უნდა გადაიჭრას იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სასელექციო სამუშაოთა ეფექტიანობა, დაჩქარდეს წარმოებაში ახალი უხვმოსავლიანი ჯიშებისა და ჰიბრიდების დანერგვა, განხორციელდეს მეთესლეობის სპეციალიზაცია და კონცენტრაცია და გადავიდეს იგი სამრეწველო საფუძველზე.

ა. ნ. კოსიგინმა გამოთქვა რწმენა, რომ სელექციონერები, სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ყოველნაირად გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და აამაღლონ მისი ხარისხი.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ნ. ნურიევი, სსრ კავშირის მინისტრები ვ. კ. მესიაცი და ნ. თ. ვასილიევი, სსრ კავშირის სახსოფლტექნიკის თავმჯდომარე ა. ა. ეჟევსკი. (საკდესი).

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

3-4 აპრილს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, ვიეტნამის კომუნისტური პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, კუბის კომუნისტური პარტიის, ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, რუმინეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრა.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება და ინფორმაციის გაცვლა იდეურ-აღმზრდელობითი და პროპაგანდისტული მუშაობის ზოგიერთ საკითხზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ლ. მ. ზამიატინი და ე. მ. ტიაჟელნიკოვი. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოს-1171"

1980 წლის 3 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1171".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ქართულ ენას-დღენიადაგ ზრუნვა და გულისყური!

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ ბოლო წლებში ქმედითი ერთობლივი ღონისძიებანი გაატარეს ქართული ენის განვითარების, სიწმინდის დაცვისა და სასწავლებლებში მისი სწავლების გაუმჯობესებისათვის. ერთი წელი გავიდა „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიღების შემდეგ. სწორედ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხებს მიეძღვნა 8 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირი.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ასრულებს მნიშვნელობას ანიჭებს ამ დიდი საზოგადოებრივი ყელრადობის დოკუმენტის ცხოვრებაში სრულ და უყოყმანო გატარებას და, მსგავსად დღევანდელი თათბირისა, პერიოდულად მოისმენს შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ანგარიშებს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

გაწეული მუშაობის შესახებ თათბირზე ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ოთარ ჩინჭარაძემ და რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა დავით ჩხეიძეშვილმა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი შოთა ძიძიგური, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი დავით ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ აბაშიძე, საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, მწერალი ელგუჯა მაღრაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი, რისმან გორდეზიანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი მწერალი გურამ ფანჯიკიძე, პროფესორები სარგის ცაიშვილი და ალექსანდრე ღლონტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ქეთევან ლომთათიძე.

მშობლიური ენების განვითარებისათვის ზრუნვა, აღნიშნა თათბირზე, ჩვენი რესპუბლიკის უკანასკნელი პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. შესაბამისად გაუმჯობესდა ქართული, რუსული, აფხაზური, აზერბაიჯანული, სომხური და ოსური ენების სწავლებაც და შესწავლაც. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, რესპუბლიკის განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა, საქართველოს სსრ პროფკავშირთა ცენტრალურ განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სახალხო განათლების ორგანოებმა შეიმუშავეს მრავალმხრივი პრაქტიკული გეგმები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს მოსწავლე ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლებას, მათთვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის გრძნობის ჩანერგვას.

ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ დადგენილება განიხილეს პარტიული კომიტეტების ბიუროების, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, შესაბამისი სამინისტროების კოლეგიების, სასწავლებლების საბჭოების სხდომებზე. მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებზე, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტთა თათბირებზე. ამის შედეგად სასწავლებლებში უფრო ფართოდ იყენებენ სწავლების ეფექტიან მეთოდებს, ტექნიკურ საშუალებებსა და თვალსაჩინოებას. 1979–1980 სასწავლო წელს თბილისის სკოლებში მოეწყო ქართული ენისა და ლიტერატურის ღია გაკვეთილები. მათ შეფასებაში მონაწილეობდნენ უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრების, პედაგოგიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები, გამოჯდილი მეთოდისტები და პედაგოგები. დაამუშავეს და სკოლებს დაუგზავნეს მეთოდიკური სახელმძღვანელოები, გაუმჯობესდა გაკვეთილგარეშე მუშაობა ქართული ენის საკითხებზე. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კლასგარეშე კითხვას, მოსწავლეთა წრეების მუშაობას, ლიტერატურული დილების, მკითხველთა კონფერენციების, კონკურს-ოლიმპიადების მოწყობას. თუ 1978 წელს იმ ლიტერატურული ოლიმპიადების ზონალურ ტურებში, რომლებსაც წინ უძღოდა სასკოლო ოლიმპიადები, მონაწილეობდა 1350 მოსწავლე, 1979 წელს მათი რიცხვი გაიზარდა 2300-მდე, ხოლო 1980 წელს — 3100-მდე. პირველად მოეწყო შუამთავარი ენისა და ლიტერატურის ოლიმპიადა პროფტექნიკური განათლების სისტემაში. მასში მონაწილეობდა 1089 მოსწავლე.

გასული წელი აღინიშნა იმით, რომ სრულყოფას არსებული და შედგინეს ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი სასწავლო პროგრამები და სასკოლო სახელმძღვანელოები, შეიმუშავეს ქართული ენის სასწავლო პროგრამები ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასებისა და IV-VIII კლასების მოსწავლეთათვის, ქართული ლიტერატურის სასწავლო პროგრამები IV-V კლასებისათვის, აგრეთვე ქართული ენის ახალი პროგრამები რუსული, აზერბაიჯანული და სომხური სკოლებისათვის.

ახალი სასწავლო პროგრამების შესაბამისად მომზადდა და გამოიცა „დედა ენა“ მოსამზადებელი კლასებისათვის, „ქართული ენის გრამატიკა, მართლწერა და მეტყველების განვითარება“ პირველი კლასების მოსწავლეებისათვის, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები ქართული სკოლების IV-V კლასებისათვის, ქართული ენისა — რუსული სკოლების III-IV-V კლასებისათვის, აზერბაიჯანული და სომხური სკოლების IV-V კლასებისათვის, „მეთოდიკური მითითებანი წერითი და ზეპირი ნამუშევრების სახეობებისა და რაოდენობის და მათი შეფასების ნორმების შესახებ“, ანბანმდელი სავარჯიშოები, „ქართული ლამაზი წერის ნიმუშები“, მოძრავი ანბანი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის კრებული მოსამზადებელი კლასებისათვის, ფონეტიკურ-ორთოგრაფიული სავარჯიშოები და სხვა. გამოსაცემად მომზადდა გ. აბესაძისა და ვ. თოფურიას „ქართულ-რუსული სასკოლო ლექსიკონის ახალი რედაქცია.

დამუშავების პროცესშია ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამები VII-X კლასებში ფაკულტატური მეცადინეობისა და IX-X კლასებში მისი საფუძვლიანი შესწავლისათვის, „დედა ენა“ ქართული სკოლების პირველი კლასებისათვის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები IV-VII კლასებისათვის და ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები IV-VII კლასებისათვის, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის კრებული პირველი კლასისათვის, კლასგარეშე საკითხავი ჩრესტომათია ქართული სკოლების IV-VII კლასებისათვის, დიდაქტიკური თამაშების კრებული.

შარშან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას. ამჟამად რესპუბლიკაში 6.960 ქართული ენის მასწავლებლიდან 88 პროცენტს აქვს უმაღლესი სპეციალური განათლება, 10 პროცენტს — არასრული უმაღლესი განათლება. ამავე პერიოდში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაიგზავნა უმაღლესი განათლების მქონე 123 ქართული ენის მასწავლებელი, 859 პედაგოგმა აიმაღლა კვალიფიკაცია, ხოლო 1469 პედაგოგმა გაიარა ატესტაცია.

ამ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში შეიქმნა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ მეთოდიკურ ცენტრში გამოიყო ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდისტის ოთხი საშტატო ერთეული.

პრაქტიკოს მასწავლებლებს დიდ დახმარებას უწევს ყურნალი „სკოლა და ცხოვრება“ და მისი დანართი, სადაც სისტემატურად შუქდება ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის მეთოდიკის საკვანძო პრობლემატიკა. მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ პედაგოგებს ქართული ენის კაბინეტები, რომელთა რიცხვი ახლა რესპუბლიკაში 1150-ს უდრის და რომლებიც აღჭურვილია სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით.

უმაღლესი სასწავლებლების როგორც სპეციალური, ისე არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის სასწავლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის ეფექტიანი ღონისძიებანი შეიმუშავა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა, ინსტიტუტებმა. ამასთან ერთად, ეთმობოდა ყურადღება ენამოძიებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტებში, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურ

7 აპრილი ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა

კვამლი, რომელიც ჯანმრთელობას გვართმევს

7 აპრილი ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა. როცა 1959 წელს ამ დღის აწესებდა, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მიზნად ისახავდა საზოგადოებრიობის ყურადღება მიეპყრო მედიცინის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი, კიდევ უფრო ფართოდ გაევრცელებინა მოსახლეობაში მეცნიერული და სანიტარულ-ჰიგიენური ცოდნა. წელს ჯანმრთელობის ტრადიციული დღე იწყობა დევიზით — „თამბაქოს წევა ან ჯანმრთელობა — თვითონ აირჩიეთ"!

მსოფლიოს მოსახლეობის საერთო ავადობის სტრუქტურაში დიდია ფილტვის კიბოს ხვედრითი წილი, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგემ პროფესორმა გ. ზ. ციცხვლაურმა. — ამასთან ამ მძიმე სნეულებით გამოწვეული სიკვდილიანობა თამბაქოს მოხმარების ზრდის კვალობაზე მატულობს. ბევრი სპეციალისტის მონაცემებით, თამბაქოს მწეველთა შორის ფილტვის კიბოთი სიკვდილი ცხრაჯერ მეტია, ვიდრე იმათ შორის, ვინც არ ეწევა.

საერთაშორისო სტატისტიკის მონაცემებით, თამბაქოს ეწევა მამაკაცთა ნახევარზე მეტი და ქალთა დაახლოებით მეოთხედი. საბჭოთა კავშირში ათმილიონობით თამბაქოს მწეველია, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 79 მილიონი, ინგლისში თამბაქოს ეწევა მამაკაცების 65 პროცენტი და ქალების დაახლოებით 40 პროცენტი.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია თამბაქოს წევის გავრცელება მოზარდ თაობაში. საკმარისია ითქვას, რომ ეს მავნე ჩვევა ბევრმა 14 წლამდე ასაკში შეიძინა. ლენინგრადის სანიტარიულ-ჰიგიენური სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომლებმა მოაწყვეს ორი ათასი მოსწავლე ბიჭუნას გამოკითხვა. ამ გამოკითხვამ ცხადყო, რომ, თუ მეექვსე კლასის მოსწავლეთა შორის თამბაქოს მწეველთა ექვსი პროცენტი იყო, უფროსკლასელთა შორის მათი რიცხვი რამდენჯერმე მეტი აღმოჩნდა. ბავშვები იმიტომ კი არ ეწევიან, რომ სიამოვნებთ ეს, არამედ იმიტომ რომ სურთ მიბაძონ უფროსებს, მოზრდილებად მოაჩვენონ თავი ხალხს.

ჯანმრთელობისათვის უფრო საშიშია სიგარეტის წევა. ფილტვების, პირის ღრუს, ხორხის, საყლაპავი მილის კიბოს შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია სწორედ ამ კატეგორიის თამბაქოს მწეველთა შორის, ბრონქიტი და, გვირგვინოვან სისხლძარღვთა თრომბოზი, აგრეთვე უფრო ხშირად ემართებათ შედარებით ახალგაზრდა ადამიანებს.

კვლევამ გვიჩვენა, რომ იმათ შორის, ვინც დღეში ასზე მეტ სიგარეტს ეწევა, სიკვდილიანობა თხუთმეტჯერ მეტია, ვიდრე არამწეველთა შორის.

თამბაქო მავნე ზემოქმედებას ახდენს ორგანიზმის ყველა ორგანოსა და ქსოვილზე. ფილტვის კიბოსა და მიოკარდის ინფარქტის გარდა, თამბაქოს წევა იწვევს აგრეთვე ხორხის კიბოს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, ღვიძლის მძიმე დაზიანებას. მწეველთა შორის სტენოკარდია გვხვდება თორმეტჯერ, ხოლო მიოკარდის ინფარქტი ათჯერ უფრო ხშირად, ვიდრე არამწეველთა შორის.

მაგრამ თამბაქო ყველაზე უფრო აზიანებს ნერვულ სისტემას, მეტისმეტად ძაბავს და ფიტავს მას. ბევრი თამბაქოს წევა იწვევს ნერვული სისტემის ქრონიკულ აღგზნებას: ვითარდება ნევრასთენია, სუსტდება მეხსიერება, იროდება ყნოსვა, გემო, მკვეთრად იკლებს მხედველობა. იშვიათი როდია სმენის დაქვეითების შემთხვევები.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში სუსტად ვებრძვით თამბაქოს წევას. თითქმის არ იწყობა ლექციები, მოხსენებები და საუბრები თამბაქოს წევის მავნეობის შესახებ, სუსტად ვიყენებთ თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებს.

ხშირად გულგრილად ჩავუვლით ხოლმე თამბაქოს მწეველ ყმაწვილს, იმის მაგივრად, რომ აუხსნათ, რაოდენ საზიანოა ჯანმრთელობისათვის თამბაქო. განსაკუთრებით შეუწყნარებელია, როცა უფროსები თამბაქოს ეწევიან ბავშვებთან სკოლაში ან შინ. თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა ჩაებას ფართო საზოგადოებრიობა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, კულტურის ფრონტის მუშაკები. საჭიროა ყველგან გავაჩაღოთ ფართო კამპანია თამბაქოს წევის წინააღმდეგ, განსაკუთრებით მოზარდებს, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შორის.

კატეგორიულად უნდა აიკრძალოს თამბაქოს წევა საზოგადოებრივ ადგილებში, განსაკუთრებით სასწავლებლებში, სამკურნალო დაწესებულებებში.

საზოგადოება „ცოდნამ", სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოებებმა უნდა გაშალონ ლექციური პროპაგანდა თამბაქოს წევის წინააღმდეგ. უფრო ფართოდ გამოიყენონ საამისოდ კლუბებისა და კულტურის სახლების აუდიტორიები, კინო, რადიო, ტელევიზია.

თამბაქოს წევა დიდ ზიანს აყენებს მშრომელთა ჯანმრთელობას, ამოკლებს სიცოცხლეს, ეს კი ყოველ ჩვენთაგანს ავალებს ულმობლად ებრძოლოს ამ მავნე ჩვევას.



ლენინის ორდენის დაწესების 50-ე წლისთავის გამო

სამშობლოს უმაღლესი ჯილდო

ვლადიმერ ილიჩის პლატინის რელიეფურ პორტრეტს არშიად აკრავს ოქროს თავთავი და ალისფერი დროშა, რომელზეც ამოკვეთილია თითოეულისათვის ძვირფასი და ახლობელი სიტყვა—ლენინი. ქვემოთ ნამგალისა და უროს გამოსახულებაა — მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირის სიმბოლო. ასეთია ყველასათვის ცნობილი ლენინის ორდენი, რომელიც 50 წლის წინათ დაწესდა, 1930 წლის 6 აპრილს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით.

სამშობლო თავის უმაღლეს ჯილდოს ანიჭებს საუკეთესო მამულიშვილებს — იმათ, ვინც პატიოსანი, გულმოდგინე შრომით ამრავლებს ქვეყნის სიმდიდრეს, თვალსაჩინო შედეგებს აღწევს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, ქმნის ლიტერატურისა და ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებებს, ემსახურება მოზარდი თაობის აღზრდას.

ლენინის ორდენით ჯილდოვდებიან აგრეთვე ისინი, ვინც განსაკუთრებული ღვაწლი დასდო სოციალისტური სამშობლოს დაცვას, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას, მშვიდობის განმტკიცებას.

ლენინის ორდენი ამშვენებს ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, მხარის, ასზე მეტი ოლქისა და მთელი რიგი ქალაქების, ათობით ჯარის ნაწილისა და დივიზიების დროშებს.

ლენინის ორდენი მიენიჭათ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მოღვაწეებს გ. ჰუსაკს, გ. დიმიტროვს, ი. კადარს, მ. კაშენს, ვ. ულბრიხტს, ხო ში მინს, ი. ცედენბალს. სულ ორდენი მიეცა 400 ათას კაცს.

1936 წელს დამტკიცდა დებულება საბჭოთა კავშირის გმირის წოდების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს, რომ საბჭოთა კავშირის გმირებს გადაეცემათ ლენინის ორდენი. სწორედ ასეთი იყო დებულება სოციალისტური შრომის გმირის წოდების შესახებაც. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 12,5 ათას კაცს, სოციალისტური შრომის გმირის წოდება — 18,7 ათას კაცს.

საბჭოთა საქართველო ამაყობს თავისი ლენინის ორდენოსნებით. პირველთა შორის, ვისაც მიენიჭა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო, იყვნენ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებ ელი ქარხნის მჭედელი დავით ქიქინაძე, ჭიათურელი გვირაბგამყვანი ვასილ სამხარაძე, ახმეტელი მეცხოველეები ანდრო ბორძიკაძე, კონსტანტინე ლაგაზიძე, პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, პედაგოგები პეტრე კაპანაძე, ვლადიმერ რობიტაშვილი, ხრამჰესმშენის უბნის უფროსის თანაშემწე ალექსანდრე გრიგორიანი და სხვები.

საქართველო ლენინის ორდენით პირველად დაჯილდოვდა 1935 წლის 15 მარტს, მეორედ — 1965 წლის 29 დეკემბერს. ლენინის ორდენით დაჯილდოვდნენ აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკა (1935 წლის 15 მარტს), აჭარის ასს რესპუბლიკა (1967 წლის 12 ივლისს), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (1967 წლის 25 აგვისტოს), 1979 წელს ლენინის ორდენით დაჯილდოვდა საქართველოს კომკავშირი.

ორდენის სტატუსის შესაბამისად, თვალსაჩინო შრომითი მიღწევებისა და წარმატებებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ლენინის ორდენით დაჯილდოვდა მრავალი საწარმო, დაწესებულება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია და კოლექტივი.

სიტყვას ვაძლევთ ზოგიერთი მათგანის ხელმძღვანელს.

მ. აფაქიძე — ლენინის ორდენოსანი „ჭიათურმანგანუმის" სამთამადნო კომბინატის დირექტორი:

ჭიათურელი მაღაროელები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი შრომითი წარმატებებით. 1928 წლის აგვისტოში შექმნილი სრულიად საკავშირო სამთამადო საწარმოო ტრესტი „ჭიათურმანგანუმი" (ამჟამად სამთამადნო კომბინატი) გახდა ქვეყნის ყველა მეტალურგიული საწარმოსათვის, მრავალი საზღვარგარეთული სახელმწიფოსათვის მანგანუმის ძირითადი მიმწოდებელი. პირველი ხუთწლედების მანძილზე ჭიათურა იყო რესპუბლიკაში სტახანოვური მოძრაობის პიონერი. მესანგრევემ ვ. სამხარაძემ, ერთ-ერთმა პირველმა ლენინის ორდენოსანმა, ამჟამად ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ტ. ფოფხაძემ, გვირაბგამყვანმა პ. ბოკოველმა საქართველოში პირველებმა დაუჭირეს მხარი შრომის უმაღლესი ნაყოფიერებისათვის მოძრაობას, რომელიც წამოიწყეს ა. სტახანოვმა, ა. ბუსიგინმა, პ. ანგელინამ და სხვებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 2 თებერვლის ბრძანებულებით „ჭიათურმანგანუმის" ტრესტი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

ახლა ჩვენს კოლექტივში შრომობს ოთხი სოციალისტური შრომის გმირი, სამი საბჭოთა კავშირის გმირი, შვიდი ლენინის ორდენოსანი.

ქ. გოგიჩაიშვილი — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ლენინის ორდენოსანი ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის" № 1 ტრესტის მმართველი:

ინდუსტრიული რუსთავის მშენებლობისათვის ყველაზე ძვირფასი, ალბათ, სამი თარიღია: 1944 წელი, როცა დაიწყო საქართველოს ახალი ქალაქისა და ამიერკავკასიის შავი მეტალურგიის პირმშოს — მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა; 1948 წელი, როცა მუშათა დაბა რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქად გარდაიქმნა და 1966 წლის 11 აგვისტო, როცა ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის" ტრესტი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

რუსთავის მცხოვრებთა შორის არიან საბჭოთა კავშირის გმირები, სოციალისტური შრომის გმირები, ლენინის ორდენოსნები, სხვა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულნი, ლენინური პრემიის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატები. ისინი განაგრძობენ ქალაქის მშენებლობას, მუშაობენ მის საწარმოებში, რუსთავი — საქართველოს ახალგაზრდა ინდუსტრიული ცენტრი სულ უფრო იზრდება.

ვ. გოცირიძე — ლენინის ორდენოსანი „თბილისგვირაბმშენის" სამმართველოს უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი:

1966 წლის 11 თებერვალი სამუდამოდ დაამახსოვრდა ჩვენ მრავალათასიან კოლექტივს. ამ დღეს სიხარულით შევიტყვეთ, რომ ჩვენი სამმართველო დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. ადვილი როდი იყო გზა მაღალი ჯილდოსაკენ. ჩვენ ავაშენეთ არა მარტო თბილისის მეტროპოლიტენი, რომლის მესამე რიგის მშენებლობა გრძელდება, არამედ სხვა ობიექტებიც. მრავალი წელია ვეჯიბრებით ბაქოელ და ერევნელ მეტრომშენებლებს, ვეხმარებით ერთმანეთს. ახლა ვამონტაჟებთ ესკალატორებს, ტენდამცველ მოწყობილობას ერევნის მეტროპოლიტენის პირველ ასამუშავებელ უბანზე, გავჰყავს ავტოსაგზაო გვირაბები როკისა და რიკოთის უღელტეხილებზე, მიწისქვეშა გადასასვლელები საქართველოს ყველა ქალაქში და ა. შ.

გვირაბმშენებელთა დროშაზე ლენინის ორდენი ახალ შრომით გამარჯვებებს შთაგვაგონებს.

იდღეგრძელე, გულუების დიდო ოჯახო!

ისევე როგორც ბევრგან, ზუგდიდის რაიონშიც დიდი პატივითა და სიყვარულით ეკიდებიან გმირ და მრავალშვილიან დედებს, ხშირად ეწყობა მათთან შეხვედრები, საუბრები, აზრთა გაზიარება იმის თაობაზე, თუ რა უჭირთ, რა ულხინთ.

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ინიციატივით ჯერ კიდევ ამ სამიოდე წლის წინათ მოეწყო მშრომელთა შეხვედრა გმირ და მრავალშვილიან დედებთან, რომელშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე რესპუბლიკის სხვა რაიონების ქალთა წარმომადგენლები, პარტიული მუშაკები, მეცნიერები, პოეტები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები. ეს აქ იმიტომ გავიხსენეთ, რომ წლეულს ზუგდიდელები უფრო დიდი მასშტაბით აპირებენ ასეთი შეხვედრის მოწყობას.

მას შემდეგ გმირ და მრავალშვილიან დედებისადმი ყურადღება ოდნავადაც არ შენელებულა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ წლეულს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ერთხმად აირჩიეს გმირი დედა, სოფელ ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ნოვატორი მეჩაიე მალვა სვირავა, რომელმაც სამშობლოს 10 შვილი აღუზარდა.

ზუგდიდის რაიონში 700-მდე მრავალშვილიანი დედაა, მათ შორის 58 გმირი დედაა. მარტო 1979 წელს დახმარების სახით მათ მიეცათ 48.638 მანეთი.

სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებაში (გამგე — ა. ჯაფარიძე) გამოკრულია გმირი დედების ფოტოსურათები, დიაგრამები. განყოფილების უფროსი ინსპექტორი თამარ სამუშია გვიამბობს: ძველაბასთუმნელი ლუბა გაბრავა 13 შვილისა და მრავალი შვილიშვილის პატრონია; სოფელ ოქტომბრის მკვიდრს ნადია ძაძამიას და ახალაბასთუმნელ ალექსანდრა გულუას — 12-12 შვილი ჰყავთ; ახალსოფლელი ნათელა როგავა, კორცხელელი ანტისა ქობალია, ძველაბასთუმნელი გრავაშა მელია, ჩხორიელი ოლია ჯანჯღავა და ოდიშელი ვენია ჯიჭონაია 11-11 შვილს უზრდიან სამშობლოს; 10 შვილის აღმზრდელები არიან ლიდია დარასელია, ვერა გაბისონია, ფედოსია ხასია, სონია ბიგვავა, თამარ ბუკია და სხვები. სახელი და დიდება მათ კარგ ქალობას!

გმირი დედებიდან ამ წერილისათვის შევარჩიეთ ყველაზე ახალგაზრდა ქალი, ახალაბასთუმნელი ალექსანდრა ვასილის ასული გულუა. 12 შვილის დედა 36 წლისაა. სახელმწიფოსაგან დახმარების სახით მას 5.778 მანეთი აქვს მიღებული.

ახალი აბასთუმანი საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას მშობლიური სოფელია. კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარე სამამულო ომის პირველი წლებიდანვე მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად. ბევრი დაწერილა მის გმირობაზე, ფაშისტებმა აწამეს და ცეცხლზე დაწვეს იგი. გრიგოლის მეუღლე ქეთევან სხულუხია, ორი ჩვილის ამარა დარჩენილი, მოუღლელად შრომობდა საკოლმეურნეო მინდვრებში, შვილები რომ წამოიჩიტნენ, შრომას შეაჩვია, ვინარი სოციალისტური შრომის გმირია და ამჟამად ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშაობს, ჯემალი კი სპორტსმენია და ქ. ზუგდიდში პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. ქეთევანი დღესაც სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირია და ენერგიულად უძღვება საქმეს.

გასაკვირი როდია საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირების გრიგოლისა და ვინარის სოფლის კოლმეურნეობა, რომელსაც წლების განმავლობაში ნიჭიერი ორგანიზატორი შ. ქადარია ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი მოწინავე საზოგადოებრივი მეურნეობა რომ იყოს რაიონში. სწორედ ამ სოფელში შრომობენ და ცხოვრობენ 7 ვაჟისა და 5 გოგონას დედ-მამა არჩილი და ალექსანდრა გულუები. სოფლის ცენტრიდან 500-ოდე მეტრის დაშორებით ცხოვრობს დიდი ოჯახი. უცხო თვალს არ გამოეპარება ლამაზად მოვლილი ეზო-კარი, ხეხილის ბაღით და ყვავილნარით დამშვენებული. მაგრამ ამ კარმიდამოს მთელი სილამაზე ის თორმეტი მერცხალია, აქ რომ ლაღად იზრდებიან.

ჩვენი ერის ძლიერება, ყოველთვის იყო და არის ოჯახის სიმტკიცე, მრავალშვილიანობა. აბა, რა დასამალია, რომ ზოგიერთს სიმდიდრედ რკინაბეტონში ჩამჯდარი ორსართულიანი სახლები და ძვირფასი ავეჯი მიაჩნია, შვილი კი ერთი ჰყავს. ძველ დროში ერთი შვილი არაშვილად, ხოლო ორი შვილი — ვითომ შვილად მიაჩნდათ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენში უკანა პლანზე გადაინაცვლა მრავალშვილიანობამ.

გულუების ეზოში ერთსართულიანი ოდა-სახლია ჩადგმული, სადაც 14 სული მხიარულად ცხოვრობს. არჩილსა და ალექსანდრას რაიონში ყველაზე მდიდარ ადამიანებად მოაქვთ თავი. ასეც არის.

ვუცქერდით, როგორ ესიყვარულებოდა დედა გარსშემოკრებილ შვილებს, მის ანთებულ სახეს და მივხვდით, რომ სწორედ ეს არის დედის უდიდესი სიხარული. დიახ, დედობრივი გრძნობა, შვილების სიყვარული ყველაზე უძვირფასესი განძია ცხოვრებაში.

პირველ ქალიშვილს, რომელიც 1963 წელს დაიბადა გულუების ოჯახში, მაყვალა დაარქვეს. მან ახალი აბასთუმნის საშუალო სკოლა დაამთავრა და ჭრა-კერვის სწავლას აპირებს, დედას ვერ ელევა, დაძმების აღზრდაში ეხმარება, მომდევნო — მურთაზი ქუთაისის სკოლა-ინტერნატში დურგლის პროფესიას ეუფლება, ქორდიკო ინგირის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეა; რომანი, ოთარი, ჯუმბერი და ელისო ჯერ საშუალო სკოლაში სწავლობენ. პაატა და ზურაბი წელს პირველად შეაღებენ სკოლის კარებს, ფატი და კობა შესაბამისად 3-2 წლისანი არიან, მთვარისა კი ხუთი თვისაა და ისეთი ჯანიანია, რომ ფეხის ადგმას ჩემობს.

თორმეტივე გოგო-ბიჭი უმანკო და ჯანსაღია, კარგად მოვლილი, „კომუნისტის" სპეციალურმა ფოტორეპორტიორმა თენგიზ ფუტკარაძემ ისინი დედ-მამასთან ერთად ეზოში გადაიღო.

40 წლის მამა — არჩილ გულუა შრომისმოყვარე და გამრჯე კაცია. იგი მშენებლობაზე მუშად მუშაობს, მაგრამ არც საკოლმეურნეო შრომას გაურბის. როცა მშენებლობაზე სამუშაოს მორჩება, მაშინვე საკოლმეურნეო მინდვრებისაკენ გასწევს. ასე იყო იმ დღესაც, როცა მის ოჯახს ვეწვიეთ, მურთაზი ქუთაისიდან ჩამოსულიყო და მამა-შვილი კოლმეურნეობაში ჩაის გასხვლაზე მუშაობდნენ.

...მოსაღამოვებული იყო, როცა გულუების დიდი ოჯახი დავტოვეთ.

იდღეგრძელეთ, მრავალჟამიერ! — ამ სიტყვებით გამოვემშვიდობეთ ბედნიერ ცოლ-ქმარს.

გ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათზე: არჩილ და ალექსანდრა გულუების დიდი ოჯახი.

სიმღერის პაპა

დღევანდელი ნომრის სტუმარი

„რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში"...
გალაკტიონი.

— რა ხანია გურული სიმღერა გემრიელად აღარ მიმღერია, სიმღერა ბევრმა იცის, მაგრამ ძველად რომ მომღერლები იყვნენ, ისეთები სადღა არიან, რამდენჯერ დამსიზმრებია მამაჩემი გიგო, ან ბიძა — გიორგი ბაბილოძე — „გამყივანის" განუმეორებელი შემსრულებელი, სამუელ ჩავლეიშვილი — საოცარი მომღერალი, ან ბესონია ინწკირველი, ვარლამ სიმონიშვილი, ძმები, ჩემი ძმები არტემი და ანანია, რომელთაც თითქმის ყოველდამ ვხედავ... აბა, ისინი აღარ არიან და, ჩემს სიმღერას რაღა ფასი აქვს...

— საიუბილეო საღამოზე უნდა იმღეროთ ბატონო ლადიკო, ოთხმოცდახუთი წელი როგორი საქმეა...

* * *

დიახ, ეს ერთადერთი, ჯერ კიდევ ჭარმაგი მოხუცი შემორჩა გურული სიმღერების შემსრულებელთა იმ, მართლაცდა, განუმეორებელ კოჰორტას. ცხოვრობს მახარაძეში, რაც გააკეთა, ხომ საშვილიშვილოდ გააკეთა, რასაც ამ წუთში აკეთებს, ისიც მომავალ თაობებს ეძღვნება:

1937 წელს ვლადიმერ (ლადიკო) ერქომაიშვილმა მახარაძის კულტურის სახლთან ჩამოაყალიბა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს, შეადგინა ლოტბართა ანსამბლი, მომღერალთა გუნდი „ელესა" ოცდაოთხი კაცის შემადგენლობით, შექმნა ხალხური სიმღერების შემსწავლელი საბავშვო სტუდია.

— ამ საქმეში ძალიან დამეხმარა მახარაძის რაიონის ხელმძღვანელობა. სამაგიეროდ, მგონია, რომ დიდი საქმე გაკეთდა. ხალხური სიმღერების შემსწავლელი სტუდიები მახარაძის რაიონის ორმოცდაერთ სკოლაში არსებობს უკვე, რომელთაც ლოტბართა ანსამბლისა და „ელესას" წევრები ხელმძღვანელობენ, მე კი რჩევა-დარიგებით ვეხმარები.

— „ელესა" შრომის სიმღერას ჰქვია, არა?

— დიახ. საწნახელის გამოტანის დროს ასრულებდნენ. ანსამბლის პროგრამა ტელევიზიამ ჩაიწერა, ფირმა „მელოდია" კი მალე ოცამდე სიმღერის ფირფიტებს გამოუშვებს.

* * *

იგი გიგო ერქომაიშვილის ყველაზე უმცროსი, მეათე შვილი იყო, ამიტომ უფროსი და-ძმანი უკვე ჩამოყალიბებული მომღერლები ახსოვს. გიგოს ოჯახში ყველა მღეროდა. დედა — ეგვიტი ბაბილოძის ქალი იყო, ცნობილი მომღერლის გიორგის და — შესანიშნავი მომღერალი. გიგოს იმხანად მთელ გურიაში განთქმული ანსამბლი ჰყავდა, რომელიც 1907 წელს თბილისშიც კი მიუწვევიათ.

—პირველი ნათლობა დიდ მომღერლებში ნადზე მივიღე აზნაურ ნასსა იორაშვილისას. პატარა ვიყავი, მაგრამ უკვე კარგად ვმღეროდი, განსაკუთრებით „გამყივანს" („კრიმანჭულის" ყველაზე რთული სახეობაა). იორაშვილისას ნადზე მამას წავყევი. იმ დღეს გიორგი ბაბილოძე ავად გამხდარიყო და „გამყივანი" მე შევასრულე როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს (ნადურები ორპირულია). ჩემი სიმღერა ძალზე მოეწონათ. საღამოს ვახშამზე ნასამ ორი ვერცხლის მანეთიანი მაჩუქა (ეს იმ დროს დიდი ფული იყო) და მითხრა: „ერთი მანეთი ერთ მხარეზე და მეორე მანეთი მეორე მხარეზე გაყიულებისთვისო".

* * *

და დაიწყო დიდი გზა... თექვსმეტი წლისამ ჯერ თავის სოფელში—გოგიეთში ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი, შემდეგ სხვა სოფლებშიც მიიწვიეს სიმღერის მასწავლებლად.

— 1919 წელს ოზურგეთში სამუელ ჩავლეიშვილმა მოიწვია გურულ ხალხურ მომღერალთა კონფერენცია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად იხილავდა მომღერალთა კვალიფიკაციას. დებულებით ლოტბარობის უფლებას ის მოიპოვებდა, ვინც ყველა გურული სიმღერის სამივე ხმას და მის ვარიანტებს მარტო შეასრულებდა შეუცდომლად. ამ კონკურსში მე გავიმარჯვე.

1923 წელს ვ. ერქომაიშვილი აჭარის სახელმწიფო კაპელაში ხალხური სიმღერების მასწავლებლად მიიწვიეს, შედეგ კი იქვე მუშაობს ეთნოგრაფიულ გუნდში, რომელსაც იმხანად მისი ძმა — არტემი ხელმძღვანელობდა. ამ გუნდმა 1927 წელს მონაწილეობა მიიღო საქართველოს პირველ ოლიმპიადაში, რომელიც ქუთაისში გაიმართა და დასავლეთ საქართველოს კოლექტივებს შორის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

1929 წელს ამ გუნდმა ისევ მიიღო მონაწილეობა ოლიმპიადაში და ისევ პირველობა მოიპოვა. გაზეთები აღნიშნავდნენ ოთხმოცდაათ წელს მიტანებული მოხუცების გიგო ერქომაიშვილისა და გიორგი ბაბილოძის, აგრეთვე ძმები ერქომაიშვილების გასაოცარ ოსტატობას.

* * *

— ბატონო ლადიკო, ის როგორ იყო გიორგი ბაბილოძეს ყელი რომ გაუსინჯეს?

— ჰოო... რუსეთში გვქონდა გასტროლები კირილე პაჭკორიასა და მიხა ჯილაურის ანსამბლებთან ერთად. მოსკოვში, ლენინგრადში, შემდეგ კი ხარკოვშიც გამოვედით. ჯერ მიხა ჯილაურმა ატირა მაყურებელი ერთ-ერთ კონცერტზე — „ურმული" იმღერა. გიორგი ბაბილოძის ხმა რომ მოისმინეს, კინაღამ კონცერტი ჩაიშალა, დარბაზი მოითხოვდა ყელი გაუსინჯეთ მომღერალს რაიმე ექნება შიგ ჩადებულიო. მართლაც მოიტანეს რაღაც აპარატები და პირდაპირ საზოგადოების წინაშე გაუსინჯეს ყელი ბიძაჩემს. რაკი ყველა დარწმუნდა, რომ მომღერალი არაფერს „ეშმაკობდა", დიდი ოვაცია გაუმართეს.

— ეტყობა, გენებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ კაცმა სიმღერა შეძლოს...

— რა თქმა უნდა. შეიძლება არ იცოდეს სიმღერა, მაგრამ მასში დაფარული გენებია, გამოუმჟღავნებელი სმენა აქვს, ამიტომ სიმღერა რომ ასწავლო, ისწავლის. არ დაიჯერებთ, როგორ მღერის უკვე ჩემი ორი წლის დისწულის შვილი — პატარა ირაკლი თოიძე.

— მაშინ ძმისწულის შვილზეც გვითხარით — ანზორ ერქომაიშვილზე. როგორ მოგწონთ ანსამბლი „რუსთავი"?

— მთავარია, რომ ეს მშვენიერი ბიჭები არაფერს აყალბებენ, მათ სიმღერაში ბუნებრივი, ხალხური ჟღერადობა ჭარბობს, ამიტომაც სწორედ ხალხმა მიიღო მათი ხელოვნება...

— თქვენზე უკეთ ვინ უნდა ისაუბროს ქართული ხალხური სიმღერის დღევანდელ სახეზე, პრობლემებზე, ამ პრობლემათა გადაჭრის გზებზე. გთხოვთ, თუ არ დაგღალეთ...



— ხალხური სიმღერა ჩემი ცხოვრებაა, მასზე საუბარი არ დამღლის. საქმე ის არის შვილო, რომ უცხოური მოგვეძალა, ხელმისაწვდომია მასისათვის, იოლია სასიმღეროდ და იმიტომ... მახსოვს, ერთ სკოლაში ხალხურ სიმღერას რომ ვასწავლიდი, დირექტორი გადამეკიდა — ვიღა მღერის ახლა მაგასო. შემსრულებლები აღარ არიან, ქართულ ქორწილში კარგი ქართული სიმღერების მაგივრად, ჯაზ-ორკესტრს ურახუნებენ. ის რა ქორწილი იყო, თუ თამადის ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ სიმღერას არ იტყოდნენ, თუ სიმღერა არ იცოდნენ — იწვევდნენ, ნეფე-დედოფალს თავთავისი მომღერლები უნდა ჰყოლოდათ... ახლა სადღა არიან. ბავშვებს უნდა ჩავუნერგოთ ჩვენი ხალხური ხელოვნების სიყვარული. წარმოიდგინეთ, რა კარგ საქმეს გააკეთებს მახარაძის რაიონის სკოლებში შექმნილი სტუდიები. რატომ არ შეიძლება რესპუბლიკის ყველა კუთხეში მიბაძონ ამ საქმეს.

კულტურის სახლების ხელმძღვანელებიც ვერ დგანან სათანადო სიმაღლეზე.

აუცილებელია ტელევიზიის გამოყენება, იქნებ მოხერხდეს ქართული ხალხური სიმღერების და ცეკვების გაკვეთილების ჩატარება. დამიჯერეთ, ეს კარგ საქმეს გააკეთებს. შეიძლება გაიმართოს კონკურსები — კუთხეების მიხედვით. გამარჯვებულები წაახალისონ, დააწესონ პრიზები, ვთქვათ, მიხა ჯილაურის, სამუელ ჩავლეიშვილის, ნოკო ხურციას, ძუკუ ლოლუას, სანდრო კავსაძის და სხვათა სახელობისა.

უნდა აღდგეს ოჯახური ტრადიციები, მათ შორისაც იყოს შეჯიბრი. ჩვენს ოჯახს, ერქომაიშვილების ოჯახს, სიმღერის 250 წლის ტრადიცია აქვს...

* * *

ოთხმოცდამეხუთე გაზაფხული იბადრება მის თვალწინ, დრო, როდესაც გული ამოვარდნას ლამობს სასიმღეროდ. თუმცა სატკივარი ბევრი მისცა წლებმა, მაგრამ მასაც სიმღერით იქარვებდა, სხვასაც მალამოდ დაედებოდა ჭირსა შიგანაც და მით უმეტეს დალხენის ჟამს ჩვენი სიმღერის პაპა. ასე იყო, არის და კვლავაც იქნება, რადგან ჭეშმარიტი სიმღერა ხომ უკვდავია.

ვ. მარდალეიშვილი.

ბუნების საოცრებანი

არსებობისათვის ბრძოლა ცხოველთა სამყაროს ორ ბანაკად ყოფს: აგრესორებად და თავდამცველებად. როცა მტაცებელთა ეშვები, ბრჭყალები, ნისკარტი და შხამიანი კბილები გვახსენდება, ეჭვი გვეპარება, როგორ უნდა დააღწიონ თავი მრისხანე იარაღის მთელ ამ არსენალს სუსტმა არსებებმა. მაგრამ წონასწორობა ბუნებაში არასოდეს არ ირღვევა: თავდასხმის რამდენი ხერხიც არსებობს, თავდაცვის საშუალებაც იმდენივეა.

ბალახის მჭამელ გიგანტთა ტრიუმვირატი — სპილო, მარტორქა, ბეჰემოთი მტაცებელთა მხრივ ხელშეუხებნი არიან. სხვები — ხარი, გარეული კამეჩი, ჟირაფი, ტახი და ზოგიერთი სხვა აგრესიას აგრესიითვე უპასუხებენ. ძლიერ სხეულთან ერთად მათ აქვთ თავდაცვის სოლიდური იარაღი — რქა, ეშვი, კიდურები...

მაგრამ ბუნებაში გაცილებით მეტია ისეთი ცხოველები, რომელთაც თავდაცვის ზემოთ ჩამოთვლილი არცერთი საშუალება არ გააჩნიათ. დედამიწაზე ხომ მილიონზე მეტი სახეობის მწერთა კლასია. საინტერესოა ხიფათითა და ფათერაკებით აღსავსე ბუნებაში რა ხერხებს იყენებენ ეს უკანასკნელნი თავდასაცავად?

თავდაცვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა მიმიკრია. მიმიკრია საგნებთან შეხამების გზით ორგანიზმის თავდაცვის საშუალებაა. მიმიკრიის მაგალითებს ვხვდებით ცხოველთა განვითარების სრულიად სხვადასხვა საფეხურზე. ბუნებაში უმთავრესად მფარველობითი და გამაფრთხილებელი მიმიკრიაა გავრცელებული.

აი, მიაბიჯებ შემოდგომის ტყეში. უცბად მაღალოს, თითქოს ქარმა დაჰბერაო, ფოთოლი მოსწყდა, ფარფატით მიწაზე დაეშვა და... შეირხა. თითქოსდა, მართლაც ფოთოლია, მაგრამ თუ უკეთ დავაკვირდებით, მივხვდებით, მიწაზე ფოთოლი კი არა, პეპელა — შემოდგომის მზომელი დაეშვა. იგი მთელი ცხოვრება ემსგავსება მცენარეს: მატლი ტოტსა ჰგავს, ჭუპრი — გახმობულის ნორჩ ფოთოლს, პეპელა — შემოდგომისას! ჩვენში ბევრ მსგავსს იმიტატორს შეხვდებით, მაგრამ კამუფლაჟის ჭეშმარიტი დიდოსტატი მაინც ინდოეთის ბინადარი პეპელა კალიმაა. პეპლის ქვედა ფრთები კაშკაშა და მდიდრული მაქმანებით არის მორთული, ზედას — გამხმარი ფოთლის სახე აქვს და განსაცვიფრებლად იმეორებს მის სურათს. საკმარისია პეპელამ მოისურვოს მდიდრული სამოსით „გულისწორისათვის" თავის მოწონება, რომ ნაირგვარი ფერებით გასხივოსნებული კალიმას ფრთებიც მარაოსებრად გადაიშლება. გამოჩნდება მტერი, და ფრთებიც იკეცება — ხატულა პეპლის მაგივრად თავისთვის გდია არავისთვის საჭირო გამხმარი ფოთოლი. უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით კალიმა სრულყოფილად იმეორებს გამხმარ ფოთლებზე განვითარებული ობის სოკოს ფორმასა და ფერებსაც. ფოტოპათოლოგებმა დაადგინეს კიდეც, თუ რომელი სოკოა გამოხატული პეპლის ფრთებზე. ფოთლისადმი მსგავსება რომ გააძლიეროს, კალიმას ეშმაკობა პირდაპირ ვირტუოზობას აღწევს: ხის შტამბზე დასვენებისას, აქაოდა, ქარი უბერავსო, გვერდიდან გვერდზე რიტმულად ქანაობს.

იმიტაციაც არის და იმიტაციაც, მაგრამ მცენარეთა, ისიც ტროპიკულ მცენარეთა ყვავილებს რომ მიბაძო, ეს უკვე ნამდვილი ხელოვნებაა! ამიტომ მას მხოლოდ ერთეულები, სახელდობრ, ტროპიკული ჩოქელები დაეუფლნენ.

დასახელებული და ტროპიკებში მობინადრე სხვა მწერები იმდენად მოხერხებულად ემსგავსებიან მცენარეთა ფოთლებს, ტოტებს, ეკლებსა და სხვა ნაწილებს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას სწამს, რომ ისინი მცენარეების კვირტებისა და ფოთლებისაგან წარმოიშვნენ. ჩვენში გავრცელებული ღამის პეპლები — მზომლები, ფარვანები, ფოთოლდამხვევები საოცრად ემსგავსებიან ხეთა ქერქს და ასეთი გზით უჩინარნი ხდებიან.

გარდა მფარველობითისა, როგორც ითქვა, ბუნებაში გამაფრთხილებელი შეფერილობაც არსებობს. იგივე მწერები თავდაცვის მიზნით ხშირად ემსგავსებიან სამიშ ცხოველებს — ნადირს, ფრინველს, ქვეწარმავალს და ა. შ. გალაპაგოსის პეპელა — სფინქსის მატლი ხის გველის სრული ორეულია: სხეული ქერცლით აქვს დაფარული, მკერდი წყვილი ლაქით — ცრუ თვალით. გაღიზიანებული სხეულის გაბერვითა და ტანის აქეთ-იქით მოძრაობით ზუსტად ასრულებს თავდასხმისათვის მომზადებული გველის როლს. საინტერესოა, რომ კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც ქვეწარმავალი არ გვხვდება, პეპელაც არ ბინადრობს. სამხრეთ ამერიკაში ერთ-ერთი სახეობის ციკადის თავი ძალიან წააგავს ადგილობრივი ნიანგის თავს. ეს მსგავსება იმდენად რეალურია, რომ ადგილობრივი ინდიელები ამ მწერს „ალიგატორს" უწოდებენ.

შესანიშნავ ფსიქოლოგიურ ეფექტს ქმნის ასევე დიდი შემაშინებელი თვალების გამოჩენა. ასეთი ცრუ თვალები აქვს ბევრ პეპელას, ხოჭოს, ჩოქელას და ა. შ. ზის ხეზე გარემოსთან უზადოდ შეხამებული პეპელა-იმიტატორი, მაგრამ თუ ესეც არ შეიქნა საკმარისი და შეაწუხეს, იგი ასწევს ზედა ფრთებს და მიაშუქებს ქვედაზე გამოხატულ საშინელ, მაფრთხობელა თვალებს. დიდი თვალები ხომ დიდ ცხოველს ან ფრინველს, მაგალითად, ბუს უნდა ეკუთვნოდეს. და „თვალიც" ხშირად ასრულებს თავის მოვალეობას.

მიბაძვა ზოგჯერ იმდენად შორს მიდის, რომ მწერთა ერთ ნაწილს გარეგნობა მთლიანად შეეცვალა და თავის თავს აღარა ჰგავს. სახელდობრ, ზოგიერთ ბუს შხამიანი ნესტრის მქონე ფუტკრისაგან ვერ გაარჩევ, ობობას — ჭიანჭველისაგან.

ბუნების ფანტაზია ამოუწურავია. ვხვდებით შემთხვევითობებსაც. ამიტომ, მიმიკრიაზე მსჯელობისას, ყველგან და ყველაფერში ბიოლოგიური მიზანშეწონილობის ძებნა აბსურდი იქნებოდა. მოვიყვანოთ შემთხვევითი მსგავსების რამდენიმე მაგალითი:

პეპელა-სფინქსს „მკვდარ თავს" — ზურგზე აქვს ადამიანის თავის ქალისა და გადაჯვარედინებული ძვლებისაგან გამოხატული ზუსტი ნახატი (ამ პეპლის მდიდარი კოლექცია დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში); ფლორიდაში ბინადრობს ობობა ციკლოსმია ზურგზე გამოხატული მკაცრი გამომეტყველების ადამიანის სახიანი ფარით. ინდიელთა ნაწილი თვლის, რომ ეს ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ბელადის მუმიფიცირებული სახეა, სარკეში მასში აცტეკების შექმნილ მზის სიმბოლურ გამოხატულებას ხედავენ. იაპონური ცხრაფეხა კიბორჩხალა — დორიპე თავის ჯავშანზე სამურაების პორტრეტს ატარებს, იაპონური თევზის — სალანქსის თავზე აღბეჭდილია ტოკუგავას კლანის გერბი, თევზის არიუს პრუუსის ფორმა და მით უმეტეს პოზა, მთლიანად იმეორებს ჯვარცმულ ქრისტეს. მაგრამ „გამომგონებლობის" ყველა რეკორდი, რა თქმა უნდა, ქაცვთავა თევზმა ჰოლაკანტუსმა მოხსნა, რომლის კუდზედაც ძველ არაბულ ენაზე შეიძლება წაიკითხოთ ორი დაფიცება: „ლა ილლა ილ ალლა (არ არსებობს ღმერთი ალაჰის გარდა) და „შანი ალლა" (გეშინოდეს ალაჰის).

ყველა ეს ფაქტი გაფანტულია მსოფლიოს სათანადო ლიტერატურაში. ისინი მოყვანილი აქვთ ცნობილ მეცნიერებს — მიმიკრიის აღიარებულ სპეციალისტებს: კოტს, ფეინინგერს, კარპენტერს, ნატურალისტ უსპენსკაიასა და სხვებს.

მაშ, ვის აშინებს სფინქსი „მკვდარი თავი", ანდა ობობა ციკლოსმია? ბუნებისმეტყველები ამაზე პასუხს ვერ გაგცემენ. ისე კი გეტყვიან, რომ ყველაზე დამაჯერებელია თვით ამ ცხოველთა არსებობის აღიარება თავიანთი ექსტრავაგანტური წარწერებით, ნახატებითა თუ პოზებით. ეს არგუმენტი კი სადავო ნამდვილად არ არის.

არნ. გეგეჭკორი.



სურათებზე: ბუს თავსა და ამ პეპელა-იმიტატორს ღამით ვერც კი განასხვავებთ ერთმანეთისაგან; დახეთ, როგორ შეხამებია კალია ხის ტოტს.

ვის აშინებს სფინქსი?



ჩვენი ზნეობრივი ფასეულობანი

ვისაუბროთ სიყვარულზე

მოდით, ჩემო მკითხველო, ვისაუბროთ სიყვარულზე, მაგრამ არა ქილილასა და დამანას, რომეოსა და ჯულეტას სიყვარულზე — ან ახალს რას ვიტყვით ამ ძველისძველ და მარადიულ თემაზე, რომლისთვისაც ათასწლეულების მანძილზე, ვინ იცის, რამდენი გენიოსი დამშვრალა.— არა, დღეს ჩვენ იმ გრძნობაზე ვილაპარაკოთ, რომელსაც, იქნებ, ამდენი მეხოტბე არც ჰყოლია, მაგრამ ურომლისოდ ქვეყნად კაცთა მოდგმის არსებობა წარმოუდგენელია — მოძმის, მეზობლის, თანამოსაქმის, თუნდაც, უბრალოდ, გზად შემოხვედრილი კაცის სიყვარულზე, **ადამიანის სიყვარულზე.**

ხომ მართალია, რაც დრო გადის, სულ უფრო ნაკლებ ვიცლით საკუთარი გრძნობების გადასახედად. მე დღეს ისეთი არავინ მეგულება, თავის თავს რომ უკირკიტებდეს — კაცთა მოდგმა მიყვარს თუ არაო. რა ექნათ, მოუცლელები ვართ, სულ საათზე ვიცქირებით, სულ საითკენღაც გავრბივართ, რაღაცას ვეშურებით...

მაგრამ ქუჩაში მიმავალს ავტომანქანის მუხრუჭების ხრჭიალი და ლითონის ჯახანი რომ შემოგვესმება, ძარღვებში სისხლი გაგვეყინება, ავარიის ადგილისაკენ სულმოუთქმელად გავრბივართ და მხოლოდ მაშინ ვმშვიდდებით, როცა ვრწმუნდებით, რომ მსხვერპლი არ არის — ადამიანი გადარჩა.

ჩვენ შეძრწუნებული შევცქერით ტელევიზორის ეკრანზე სადღაც ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით დატრიალებულ სტიქიურ უბედურებას, გაფაციცებით ვადევნებთ თვალყურს შორეულ ოკეანეში გაუჩინარებული მარტოხელა იახტსმენის ბედს...

მაგრამ კატასტროფა, მიწისძვრა და სხვა ფათერაკი ხომ ყოველდღე არ ხდება? და მადლობა ღმერთს, რომ არ ხდება. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება შინ თუ სამსახურში გატარებული საათებია, ოჯახის წევრებთან, ნაცნობ-მეგობრებთან, თანამოსაქმეებთან ურთიერთობა, შემთხვევითი შეხვედრები ავტობუსში, მაღაზიაში, სანატორიუმში, სტადიონზე... და, გვინდა თუ არა, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ ყოველდღიურ ურთიერთობაში ვავლენთ მარტო ხასიათს კი არა, ჩვენს ადამიანურ რაობასაც.

„ადამიანის სიყვარული — ეს ის ფრთებია, ადამიანი ყველაზე მაღლა რომ აჰყავს", — უთქვამს მწერალს. და ამ სიტყვების სამართლიანობას დასაბუთება არ სჭირდება, ვინაიდან ყველას განგვიცდია ის მშვენიერი, საოცარი გრძნობა, მშვიდი სიხარულისა, ჩვენივე კარგი ნამოქმედარის გამო რომ დაგვეუფლება, როცა განსაცდელში მყოფ ადამიანს მხარში ამოვდგომივართ, სნეულისთვის შვება მოგვიგვრია, სასოწარკვეთილისთვის სულიერი მხნეობა დაგვიბრუნებია.

სიკეთეს მივაგებთ და ამით თავად ვართ ხოლმე ბედნიერნი; არა იმიტომ, თითქოს დათესილი სიკეთის ნაყოფს მოველოდეთ — თვით კეთილის ქმნა გვანიჭებს უდიდეს სულიერ კმაყოფილებას, აი ისეთს, ბედნიერებას რომ ესაზღვრება.

ამ სულიერი კმაყოფილებით არის გამსჭვალული წერილები, რომლებსაც რედაქციაში ერთ დიდ საქაღალდეში ვინახავთ. რუხი ფერის ყდას წითელი ფანქრით მსხვილად აწერია — „სიკეთე", და ყოველი ფურცელი, აქ აკინძული, ვიღაცის კეთილშობილური ცხოვრების ფურცელია — ან თვითონ ავტორისა, ან მისი ნაცნობის, ან კიდევ გაგონილი ამბავი მაგანი და მაგანი კაცისა.

აი რამდენიმე ამბავი:

ერთ გოგონას დედა გარდაეცვალა. მამა ადრევე არ ჰყავდა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მამა ცოცხალი იყო, მაგრამ შვილისთვის ცოცხლებში აღარ ეწერა— სხვა ოჯახი შეექმნა და სიყრმის შვილი არც კი აგონდებოდა.

ერთი სიტყვით, თორმეტი წლის ბავშვი სულ მარტო დარჩა. მაგრამ გოგონას კიდევ სხვა უბედურებაც სჭირდა — ხეიბარი იყო. ყმაწვილობაში გადატანილ პოლიომიელიტს მისთვის ფეხებში ძალა გამოეცალა და უყავარჯნოდ სიარული არ შეეძლო.

ეს ამბავი რუსთავის ერთი სასწავლებლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარემ მოგვწერა და გვიამბო, თუ როგორ ამოუდგნენ მხარში მას მასწავლებლები, თანაკლასელები, მათი მშობლები, როგორ ევლებოდნენ თავს, რომ ბედდანავსული ბავშვისათვის ობლობა არ ეგრძნობინებინათ...

...ნინო ქურდაძემ, სოფელ სატივის მკვიდრმა, ხაშურის რკინიგზის სადგურის ჩიხში ლენინგრადიდან ევაკუირებული ბავშვებით სავსე ორი ვაგონი ნახა. გული დაუთუთქა უდედმამო ბალღების ყურებამ, განსაკუთრებით კი ერთმა — ხუთიოდე წლის აბუზულმა გოგომ. ქალმა მატარებლის უფროსი მოძებნა და შეეხვეწა, იმ გოგოს დარდს ნუ გამატანთ, მომაშველეთო. საღამოს ბავშვი უკვე თავის სოფელში ჰყავდა, საკუთარ ხუთ წვრილ შვილს 1942 წლის მწირი ულუფა ერთი მეხუთედით კიდევ შეუმცირა და ბავშვი ისე გამოზარდა. გოგონა რომ დაქალიშვილდა, იქვე სოფელში გათხოვდა, სამი შვილი შეეძინა. მაგრამ მალე ვაჟკაცი ქმარი გარდაეცვალა. დედობილი აქაც გვერდით დაუდგა და ცალუღლობას არ აგრძნობინებს, კოლმეურნეობაში მუშაობას თავს არ ანებებს, თუმცა კარგა ხანია დასვენება ეკუთვნის...

ქაღალდების იმ შეკვრაში ინახება წერილები ადამიანებზე, რომლებსაც სიკეთისათვის ფართოდ გაუღიათ გულის კარი: ექიმებზე, ღამეებს რომ თეთრად ათენებენ სიკვდილთან ჭიდილში, ოციოდე წლის ჭაბუკ ა. გოშთელიანზე, ხნიერი ქალი დახრჩობას რომ გადაარჩინა და თვითონ დაიღუპა, ქუთაისელ საყოფაცხოვრებო მომსახურების ოსტატ აფრიდონიძეზე, სამუშაო საათის დამთავრების შემდეგ ბინაზე უსასყიდლოდ რომ ემსახურება ომისა და შრომის ინვალიდებს.

აი, მისთვის უცხო ადამიანის ბედს შეუწუხებია ერთი კეთილი კაცი — თბილისის ფოსტამტის მე-19 განყოფილების ფოსტალიონი ს. ჯაფარიძე. წერეთლის პროსპექტზე ამა და ამ სახლში ოთხმოცი წლის მარტოხელა ქალი ორი წელია ლოგინს არის მიჯაჭვულიო, — გვწერს იგი. — მეზობლები უვლიან, მაგრამ ისე ხომ ვერ მოიცლიან, დილიდან საღამომდე მასთან რომ იყვნენ. მე ამ მოხუცთან საჭმელიც მიმაქვს და წამალიც, მაგრამ კაცი ვარ, მისი მოვლა არ შემიძლია, იქნებ რედაქცია დაეხმაროსო.

ამ ბარათს უყურადღებოდ ვინ დატოვებდა — რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრთან აღვძარით შუამდგომლობა. ჰოდა, სულ მალე პასუხიც მივიღეთ: ანასტასია ნიკიტენკო სახელმწიფო კმაყოფაზე ჩაურიცხავთ.

როცა ამ ბარათებს ათვალიერებ, თვალნათლივ ხედავ, რომ ზოგჯერ გულისხმიერებისა და ყურადღების სულ უბრალო გამოვლინებაც საოცრად ხდება ადამიანის გულს, ისე, რომ სურვილს აღუძრავს თავისი გრძნობა ყველას გაუზიაროს.

მადლობის წერილების ერთი ნაწილი დაწესებულებების, პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების მისამართით არის დაწერილი. მიზეზი? — ბინა მისცეს, ნაშრომ-ნაღვაწი ორდენითა და მედლით აღუნიშნეს, ავტომანქანა, საგზური გამოუყვეს. მერე რისთვის იხდის მადლობასო? — შეიძლება იკითხოს ვინმემ, — ეკუთვნოდა და მისცესო. მაგრამ ჩანს, რომ ამ ადამიანებმა მარტო მოვალეობა კი არ მოიხადეს, არამედ მის შესრულებაში გულის ნაწილიც ჩააყოლეს, ადამიანის ბედ-იღბლით დაინტერესდნენ, რაღაც განსაკუთრებული, თბილი სიტყვები იპოვეს. აკი ბრძენს უთქვამს: ნამდვილად კეთილი რომ იყო, ზომაზე სულ ოდნავ მეტად უნდა იყო კეთილიო.

უნდა იყოო, მაგრამ თუ კაცს ეს არ უნდა? თუ არ სურს სხვისთვის თავი აიტკიოს, ვიღაცისთვის რამე გაიჭირვოს, ერთი ბეწო რაღაცას, თუნდაც ავტობუსის სავარძელს, ხუთი წუთით შეელიოს? როგორც აი, იმ ქალიშვილს, ბაზრიდან მომავალ ხნიერ მანდილოსანს ადგილი რომ არ დაუთმო, ის კი არა ხმამაღლა დაკილა: არ გრცხვენიათ, ადგილს რომ მთხოვთ, იქნებ, მე თქვენზე მეტად ვარ დაღლილიო?

ამ ქალის წერილი ჩვენ მადლობის ბარათებთან ერთად შევინახეთ და იცით რატომ? — ბედად იქვე, იმ უხიაგი ქალიშვილის ტოლი სხვა გოგონაც იყო, რომელმაც უზომოდ შეწუხებული ქალი ავტობუსიდან ჩამოიყვანა, დაამშვიდა და სახლამდე მიაცილა. „კომუნისტის" ფურცლებიდან უთხარით მადლობა რაიონიდან სასწავლებლად ჩამოსულ ამ გოგონას — ირინე ხიდაშელის მშობლებს ასეთი შვილის გაზრდისთვისო, — გვთხოვდა წერილის ავტორი.

აი ასე: ერთმა დაჰკოდა, მეორემ მალამო წაუცხო. კიდევ კარგი, მალამოს წამცხები იქვე აღმოჩნდა, თორემ განა ერთსა და ორ ღამეს გაათევინებს თეთრად ადამიანს დაუმსახურებელი შეურაცხყოფა?

ბათუმიდან ჩამოსულ სამამულო ომის ინვალიდს კ. თავბერიძეს სასტუმრო „კოლხეთში" ღამე არ გაათევინეს, თუმცა თავისუფალი ნომრები ჰქონდათ. მეორე ვალმოხდილი კაცი ვ. ჯიღაური მაღაზიაში ურიგოდ არ გაატარეს, ის კი არა, ვიღაცამ ისიც გააგონა, მერე რა, რომ ინვალიდი ხარ, ცოცხალი ხომ მაინც დაბრუნდი, სხვებმა კი თავი გასწირესო (?!).

„მიწა რომ გამსკდომოდა, ის მერჩივნა! მე ეს სიტყვები ბრალდებასავით მივიღე და ვფიქრობ: ნუთუ დანაშაული მიმიძღვის იმათ წინაშე, ვინც ოჯახს ვეღარ დაუბრუნდა?" — გვწერდა კაცი.

განა შეიძლება ეს წერილი წაიკითხო და სირცხვილით არ დაიწვა? ასეთი რამ როგორ უნდა მომხდარიყო? ომის ვეტერანებზე, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ ადამიანებზე ზრუნვა ხომ ჩვენთან სახელმწიფო რანგში არის აყვანილი და ჩვენ, მოქალაქეებს უპირველეს მოვალეობად გვაქვს მიჩნეული.

გაზეთის ჩარევის შემდეგ სასტუმროს თავკიოფა თანამშრომელი საკადრისად დაისაჯა. მაგრამ ის კაცი სად ვეძიოთ, ომის ინვალიდს ერთი ბეწო შეღავათი რომ დაამადლა? ან როგორ მოხდა, რომ რიგში მდგომთაგან ამ ავყიასა და უხიაგს წესრიგისკენ არავინ მოუწოდა, ხოლო იქ მყოფთ ხმამაღლა არ უთხრა: ამ ადამიანს ხომ შეღავათი სახელმწიფომ მიანიჭა სამშობლოსათვის შეწირული ჯანმრთელობის საფასურად, სახელმწიფო კი ჩვენა ვართ, ხალხნო!...

ყველამ ვიცით, რომ ქვეყნად კეთილი ადამიანი გაცილებით მეტია, ვიდრე გულგრილი, და ბევრად, ბევრად მეტი, ვიდრე გულქვა და ბოროტი. თუმცა უკიდურესს რად ვიღებთ? იმ შემთხვევებში, ჩვენ რომ მოვიყვანეთ, განსაკუთრებული სიკეთის გამოჩენა კი არ იყო საჭირო, არამედ სულ უბრალო, ყოველდღიურად, ყოველ საათს საჭირო გულისხმიერებისა, რომელიც ყველა ჩვენგანს მოეთხოვება, რაკი ადამიანთა საზოგადოებაში ვცხოვრობთ.

სწორედ ყურადღება და გულისხმიერება ჰკლებიათ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მუშაკებს, რომლებსაც ჯაფარაულში მცხოვრებმა შურა მაისურაძემ მიმართა. აღმოჩნდა, რომ მას შრომის წიგნაკით პენსიის მისაღებად 3 თვის სტაჟი აკლდა. მაშინ ქალმა აუხსნა, რომ 1942-44 წლებში ამავე ალმასკომში მუშაობდა, რისი მოწმეები ჰყავდა კიდეც — ალმასკომის მაშინდელი თანამშრომლები. და აი, აქ მას ძალიან თავაზიანად უსაყვედურეს: თქვენ ერთი შეღავათი მოგანიჭეს, როგორც მრავალშვილიან დედას და პენსიას გინიშნავენ, თუ 15 წლის სტაჟი გაქვთ, თქვენ კი მეორე შეღავათსაც ითხოვთ, მოწმეების საშუალებით გსურთ ძველი ნამუშევრის აღდგენაო.

საყვედური კი თავად ეთქმით ორჯონიკიძის (ხარაგაულის) რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მუშაკებს, რომ სამოცდაათი წლის ქალი, ცხრა შვილის აღმზრდელი გმირი დედა იძულებული გახადეს რედაქციისათვის მიემართა. არა, მას არავისთვის არ უჩივლია, ჩვენს საზოგადოებრივ მისაღებს ეკითხებოდა, შეიძლება თუ არა ძველი ნამუშევრობის აღდგენაო. ამაზე პასუხის გაცემა კი ადგილზეც შეეძლოთ. და არათუ შეეძლოთ, მოვალენიც იყვნენ საქმით დახმარებოდნენ. ჰოდა, რაც შეეხება დაყვედრებას, ამისი არც მოვალენი იყვნენ და არც უფლება ჰქონდათ — მრავალშვილიანი დედისათვის ეს შეღავათი მათ არ მიუნიჭებიათ.

აიძულეს და ამიტომ მოგვმართა სოფელ ზემო არანისის მცხოვრებმა პენსიონერმა მიხეილ თეთრუაშვილმა. ამ კაცს საბჭოთა მეურნეობაში ვენახის ნაკვეთი გაუპიროვნეს, ის კი უარზე იყო, ამბობდა, როგორც შემიძლია, ისე ვიმუშავებ, ოღონდ ნაკვეთს ნუ მომიხსნითო. მაშინ უფროსებმა პენსიის მოხსნით დაემუქრნენ.

მისი წერილი დუშეთის რაიაღმასკომს გადავუგზავნეთ, მაგრამ მომჩივანმა იქიდან პასუხი ვერ მიიღო. მეორედ მოგვწერა: „ჩემი წერილი თქვენ აღმასკომისთვის დაგიწერიათ, გაარკვიეთო. აღმასკომს მეურნეობის დირექტორისათვის დაეწერა, დირექტორს — მოადგილისთვის, მოადგილეს — უბნის უფროსისათვის, უბნის უფროსს — ბრიგადირისათვის. ბრიგადირმა კიდევ ის პასუხი მომცა, უნდა იმუშაო, ეს არის მოწერილიო"...

ახლა საქმეში რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება ჩაერია. აი, მათი პასუხიც: „თქვენ თქვენი დამსახურების გამო გაქვთ დანიშნული მოხუცებულობის პენსია და საბჭოთა მეურნეობაში შეგიძლიათ იმუშაოთ თქვენი ფიზიკური შეძლების მიხედვით, თქვენი სურვილით. იძულების წესით კი ვერავინ შეგაწუხებთ და ამის გამო არც პენსია დაგეკარგებათ".

ერთი სიტყვით, როგორც იქნა, ადამიანმა თავისი გამამართლებელი დოკუმენტი მოიპოვა და უფროსებს წარუდგინა. მაგრამ განა რაც იმ დოკუმენტში ეწერა, მეურნეობის ხელმძღვანელებმა ზეპირად არ იცოდნენ? მაშ რად უნდა გაეწვალებინათ მუშაკაცი? კანონით მონიჭებული უფლება ადამიანმა ბრძოლით რად უნდა მოიპოვოს?

შეიძლება ამ სტრიქონებისთვის მეურნეობის ხელმძღვანელობა გაგვინაწყენდეს: ამ კაცს საკუთარ მამულში ხომ არ ვამუშავებდით, განა თვითონ არ იცოდა, სოფლად მუშახელი როგორ ჭირსო?

ვიცით, მაგრამ მუშახელის მოსაზიდად მხოლოდ ნებადართული საშუალებები უნდა გამოვიყენოთ — ისევ იმ მუშაკაცის სასიკეთოდ. — წახალისების, სტიმულირების სხვადასხვა ხერხები.

რაც შეეხება საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული უფლების ხელყოფას, აქ უკაცრავად: ნებისმიერი რანგის მუშაკის მიმართ კანონი ერთნაირად მკაცრია და შეუვალი.

მაგრამ ყველა შეურაცხყოფილი ადამიანის დასაცავად ხომ კანონს ვერ მოიშველიებ? აბა, კანონის რომელი მუხლით მოვთხოვოთ პასუხი ახალგაზრდა დირექტორს, რომელმაც მთელი კოლექტივის თვალწინ გათათხა ხნიერი თანამშრომელი: ჩემი კაბინეტიდან ტელეფონით დარეკვა როგორ გაბედეო! ან სახლმმართველობის მუშაკებს, ცნობის ასაღებად მოსულ პენსიონერს რომ გამოუცხადეს — ცნობას ვერ მოგცემთ, საბინაო წიგნიდან ამოწერილი ყოფილხართო. ამოწერის მიზეზი რომ ვერ უთხრეს, ამ მოქალაქემ სამისამართო ბიუროს მიმართა. იქ დაადგინა: თურმე სახლმმართველობას უცნობებია, გარდაიცვალაო.

„... იქიდან ისე დარეტიანებული გამოვედი, რომ ხან ყურზე ვიკიდებდი ხელს, ხან ცხვირზე— ცოცხალი ვარ თუ არა-მეთქი",— იწერებოდა ეს კაცი.

ზოგჯერ სარედაქციო ფოსტას ისეთი წერილი მოჰყვება, რომ არ იცი, რა ჰქნა — იცინო თუ იტირო?

ერთხელ, მახსოვს, ხეთაგუროვის ქუჩის მცხოვრები გვეწვია და საჩივარი შემოიტანა... მამალზე! ორჯერ ჩავეკითხეთ, სმენამ ხომ არ მოგვატყუაო და როცა ნათქვამი გაიმეორა, ერთი ხმამაღალი გაცინება ყველაფერს გვერჩივნა. მაგრამ ორი თაბახი განცხადება ბოლომდე რომ ჩავათავეთ, სიცილის გუნებაზე აღარ გახლდით, თუმცა იმის ავტორებს იუმორის გრძნობაც არ აკლდათ. „...არ ვიცით, ამ ჩვენი მეზობლის მამალი მიჩურინის (?!) ჯიშის თუ არის? ღამის 3 საათიდან დილის 7 საათამდე განუწყვეტლივ ყივის. ბევრი მამალი გვინახავს, მაგრამ ასეთი ომახიანი, იერიქონის საყვირივით ხმა რომ ჰქონდეს, არც გვინახავს და არც გვსმენია. ხუთი სადარბაზოს მობინადრენი: მეცნიერები, მუშები, სტუდენტები უძილობისაგან არაქათგამოცლილები ვართ".

ამ მამლის პატრონთან ვერაფერს გახდა ვერც მილიცია, ვერც რედაქცია, ვერც საზოგადოებრივი აქტივი. მინდა და მყავსო, — ამბობდა მამლის პატრონი. — მაჩვენეთ ერთი ის კანონი, სადაც წერია, რომ მამლის ყოლა არ შეიძლება, ან ალიკაპი უნდა გაუკეთდესო და, კი ბატონო, დაგკლავთ, თქვენი ხმალი და ჩემი მამლის კისერიო.

როგორც მკითხველს მოეხსენება, სისხლის სამართლის კანონში ასეთი მუხლი მართლაც არ არის. ჰოდა, ადამიანობის კანონში რაც წერია, იმისი ამოკითხვა გაჯიუტებულ მოდავეს არც სურდა და, ალბათ, არც შეეძლო.

ბახტრიონის ქუჩის მე-16 კორპუსის მცხოვრებთ ძაღლების ყეფამ დაუკარგა ძილი და მოსვენება. ამ ქუჩაზე ერთ საუწყებო მშენებარე სახლს ღამღამობით რვა ძაღლი ყარაულობდა, რომლებიც დაბინდებიდან გათენებამდე ყეფით იკლებდნენ იქაურობას. „როცა დილით უძილობისაგან მოთენთილები სამსახურში მივდივართ, ძაღლებს კი სილის გროვაზე ნებივრად სძინავთ, ფეხაკრეფით ჩავუვლით ხოლმე, რომ ღამის მორიგეები არ გავაღვიძოთ",—გვწერდნენ იქაური მცხოვრებნი და გვეაჯებოდნენ: ამ მშენებლობის უფროსებთან გვიშუამდგომლეთ, როგორმე ნება დაგვრთონ ძაღლების ნაცვლად ჩვენ ვიმორიგეოთ, ასე ღამენაცვლეობით მაინც დავიძინებთო.

თავი ხომ არ შეგაწყინეთ, ჩვენო მკითხველო? ხომ არ ჯავრობთ — სიყვარულზე და კეთილ ადამიანებზე საუბარს გვპირდებოდით და უსულგულოთა და უხიაგთა აღლუმი გაგვიმართეთ, მაღალი მატერიებიდან დაიწყეთ და ძაღლებამდე და მამლამდე ჩამოხვედითო. ერთმა მკითხველმა ამას წინათ გვირჩია კიდეც, ყოფითს წვრილმანებს ნუ გამოეკიდებით, მერწმუნეთ, გაზეთის ყურადღებად ეგ არ ღირსო.

მაგრამ ზოგჯერ რაც ერთ კაცს წვრილმანად ეჩვენება, იმას მეორე ინფარქტამდე და ინსულტამდე მიჰყავს. ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, თუ გლობალური მასშტაბით მივუდგებით, მაშინ ჩვენი სიცოცხლეც წვრილმანზე წვრილმანია, თვალის ერთი დახამხამებაა და მორჩა!

უფრო მკვეთრი კი იცით როგორი რჩევა იქნებოდა? მოდით სხვის „წვრილმან" უსიამოვნებას ხელს ნუ ავუქნევთ, მაგრამ თავად ნურასდროს დავწვრილმანდებით. ნუ დავივიწყებთ, რომ ადამიანი გვქვია, რაც ნიშნავს: დიდსულოვანი, გულისხმიერი, მიმტევებელი. თორემ ერთ დედამთილს ახალმოყვანილი რძლისთვის დაუფიქრებლად რაღაც უთქვამს და რძალმა ის სიტყვა კუბოს ფიცრამდე არ აპატია, შურისგების დროშასავით აღმართული ატარა მთელი სიცოცხლე.

მაინც ყველაზე მძიმე შთაბეჭდილებას სარედაქციო ფოსტიდან ოჯახური დრამის ამსახველი წერილები ახდენს. სავალალოა, როცა სიყვარულისათვის, სულიერი სიმშვიდისათვის შექმნილი თბილი კერა ოდესღაც ერთმანეთის მოყვარული ადამიანების სამძარ ასპარეზად იქცევა. სასტიკი და განუკითხავი ბრძოლა, ოთხ კედელში ჩაუმცხრალად რომ მიმდინარეობს, ნერვებს აწყვეტს, თრგუნავს და აბეჩავებს ყველას, განსაკუთრებით კი ყველაზე სუსტებს — მოხუცებსა და ბავშვებს.

პენსიონერი მშობლები — სინჯიაშვილები შვილისა და რძლის ძალმომრეობისაგან რომ დაეხსნა, ტიდაჭეიას სიღნაღის რაიონის პროკურორის დახმარება დასჭირდა. მხოლოდ ჩვენი ჩარევის შემდეგ მისცეს ერთი ოთახი სახლიდან გამოძევებულ ელენე მეკოკიშვილს შვილმა და რძალმა. ხაშმელმა ძმებმა კინაღამ ერთმანეთი დახოცეს მიწის გულისათვის.

აღარაფერს ვიტყვით იმ დაუსრულებელ შინმეზობლურ შუღლზე, რომელიც თვითონ მოდავეებსაც აღარ ახსოვთ რისთვის დაიწყო: ერთი ხელის დადება მიწისთვის, შუკაში გასასვლელისა თუ ღობის ძირში ჩარგული ხისთვის, მეორე მოსახლეს ბოსტანს რომ უჩრდილავს. შუღლზე, რომლის არც დასაწყისი იციან და არც დასასრული და ისეთი პირი უჩანს, რომ დინასტიებს გადაეცემა მონტეკებისა და კაპულეტების დარად.

ამას წინათ ერთი კაცი ძალიან გაგვიგულისდა იმის გამო, რომ მის განცხადებას მსვლელობა არ მივეცით. განცხადებაში კი იცით რას თხოულობდა? მომიჯნავე ოთახიდან ამოეწერათ პატარა ბავშვი, რომელსაც დედა დაპატიმრებული ჰყავს და ნათესავებს შეუკედლებიათ. მეორემ მოგვწერა, ჩემი მეზობელი ესა და ეს ლენინგრადში სასპეკულაციოდ დადისო. ეს ხელმოუწერელი წერილი რომ შევამოწმეთ, აღმოჩნდა, რომ იმ კაცს ავთვისებიანი სიმსივნის ოპერაცია გაუკეთებია და დროდადრო დასასხივებლად უწევს ლენინგრადში ჩასვლა...

ნეტავ რამ გააჩინა ამ ქვეყნად ცილისმწამებლები, მჯღაბნელები, სხვის გვარს ამოფარებული ანონიმები! რამდენი ტკბილი ოჯახი დაურბევია, რამდენი ხმაშეწყობილი კოლექტივი აურევია შხამითა და ჯესლით ნაწერ მათ ბარათებს. რამდენი კომისია დამშვრალა, მელნის ტბა დამშრალა მათი მონაჭორის გამოსამზეურებლად და გასაბათილებლად!

მერედა, რატომ აკლავთ თავს ანონიმური წერილების შემოწმებასო? — გვეკითხებიან ზოგჯერ.

მხოლოდ იმიტომ, რომ ას ტყუილში ერთი სიმართლის ხმა არ დაგვეკარგოს. იშვიათად, მაგრამ მაინც ხომ ხდება, რომ ვიღაც სიმართლის თქმას ვერ ბედავს — დევნისა და შევიწროების იშიშით.

„...ბოროტსა სძლია კეთილმან..." ყველამ ვიცით, რომ ეს ჩვენი ცხოვრების კანონზომიერებაა. მაგრამ ბოროტებასთან ბრძოლას მარტო მართლმსაჯულების ორგანოებს ნუ გადავულოცავთ. არის ერთი იარაღი არანაკლებ მსახვრალი, ვიდრე პროკურორის ბრალდება. ეს იარაღი საზოგადოებრივი აზრია. ის თითოეული ჩვენგანის აზრისაგან შედგება და რაც უფრო მეტ შეურიგებლობას გამოვიჩენთ ბოროტებისადმი, მით უფრო ძლიერი იქნება ზემოქმედების ძალა.

ახლა კი ისევ სიყვარულს და სიკეთეს მივუბრუნდეთ. ბოროტების დასჯა ხომ საქველო საქმეა, მაგრამ რა განუზომელ სიამოვნებას გვანიჭებს სიკეთის თესვა... მიმოვიხედოთ ჩვენს ირგვლივ, რა თვალუწვდენი სახნავ-სათესი გვარტყია. იქნებ დავინახოთ ვინმე, ლოთობა, სიზარმაცე თუ სხვა რამ ცუდი ზნე უფსკრულისკენ რომ მიეზიდება და მისი ხსნა მხოლოდ ჩვენი, საზოგადოების, კოლექტივის მზრუნველ და მძლავრ ხელს შეუძლია.

დასაღუპად განწირული კაცის გადარჩენა არ არის იოლი საქმე. იქნებ, ვინმეს პარადოქსულადაც მოეჩვენოს კიდეც, მაგრამ ბევრს ადიდებულ მდინარეში გადახტომა ურჩევნია, ლოთი და წყალწაღებული კაცის გადარჩენას. თუმცა პირველ შემთხვევაში სიცოცხლეს იგდებს საფრთხეში, მეორეში კი გართობისა და დასვენების, ოჯახური სიმყუდროვის საათებს უნდა შეელიოს.

მაგრამ ამქვეყნად ხომ რაღაცისთვის მოვსულვართ? ბევრი ჩვენგანის სიცოცხლე კი ისე დამთავრდება, რომ ერთხელაც არ მოგვიწევს ცეცხლმოკიდებული სახლიდან ბავშვის გამოყვანა, ყალყზე შემდგარი ულაყის შეჩერება. მაშ მოყვასისადმი სიყვარულის გამოსავლენად, ჩვენი უპირველესი მოვალეობის აღსასრულებლად განსაკუთრებულ შემთხვევას რად უნდა დაველოდოთ? გულისხმიერებას, მშვიდ პატივისცემას — აი რას მოელიან ჩვენგან ყოველდღიურად, ყოველ საათს.

„თუ ორიოდე ტკბილი სიტყვა ადამიანს გააბედნიერებს, არამზადა უნდა იყო, ის რომ დაუკავო", — თქვა ერთმა მოღვაწემ.

„უნდა ვისწავლოთ ერთმანეთისადმი გულითადობა, უნდა შევიგნოთ, რომ ამქვეყნად ყველაზე მშვენიერი, ყველაზე დიდებული ქმნილება ადამიანია!" — ეს მწერლის სიტყვებია.

„ადამიანი ადამიანისათვის ამხანაგი, ძმა და მეგობარია" — ეს კი ფორმულაა, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების ფორმულა, მოპოვებული მდინარეებად დაღვრილი სისხლის, დიდი ძნელბედობის წლების, არნახული ტიტანური შრომის საფასურად. და ეს არ უნდა დავივიწყოთ. უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ.

ნანული ბარათაშვილი.

სპორტი

პრეტენდენტთა მატჩები

++

დონი-მილანოვაცი

იუგოსლავიის ამ ქალაქში მიმდინარე ქალთა შორის მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩის გადადებულ მეორე პარტიაში მეტოქეებმა — ნანა იოსელიანმა და ჟუჟა ვერეციმ მხოლოდ ორ-ორი სვლა გააკეთეს და დაზავდნენ. ანგარიშში გახდა 1:1. გთავაზობთ გადადებული პარტიის პოზიციას (თეთრები — იოსელიანი, შავები — ვერეცი):

ნანა იოსელიანმა ჩაიწერა 41. კd1 და... მფg8 42. ეa5 კe6-ის შემდეგ ვერეცის წინადადებით მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ბად-ლაუტენბერგი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ ქალაქში უნდა გამართულიყო რობერტ ჰიუბნერისა (გფრ) და ანდრაშ ადორიანის (უნგრეთი) მეცხრე პარტია. უნგრელმა დიდოსტატმა თავისი უკანასკნელი, მესამე ტაიმაუტი აიღო. ანგარიშია 4,5:3,5 ჰიუბნერის სასარგებლოდ.

მეორე ტური

ხვალ ჩვენი ქვეყნის ცხრა ქალაქში გაიმართება უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, მეორე ტურის მატჩები. „ფახთაქორი" მასპინძლობს „არარატს", „ნეფტჩი"—მინსკის „დინამოს", კიევის „დინამო" — „ზენიტს", „ჩერნომორეცი" — მოსკოვის „დინამოს", „შახტიორი" — „ტორპედოს", „კარპატი" — ცსკას, „ყუბანი" — „ლოკომოტივს", როსტოვის არმიელთა გუნდი — „სპარტაკს", ხოლო თბილისის „დინამო" — „ყაირატს".

საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის დინამოელებმა ალმა-ათის „ყაირატთან" 26 შეხვედრა გამართეს, აქედან 12 მოიგეს, 11 ფრედ დაამთავრეს და 3 მატჩი წააგეს.

„ოლიმპიური წელი — არა მარტო ოლიმპიელებისათვის"

ასეთი დევიზით მიმდინარეობს თბილისში საქართველოს ღია ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ბონდო შანიძის სახელობის პრიზზე.

საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებთან ერთად ასპარეზობენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები. ასპარეზობა დღეს დამთავრდება.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. ბაქოში გრძელდება ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. ოთხი ტურის შემდეგ 3 ქულით ლიდერობს ბაქოელი საერთაშორისო ოსტატი გ. კასპაროვი, მან მეოთხე ტურში თბილისელ დიდოსტატ ე. გუფელდთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. მაია ჩიბურდანიძემ ითამაშა ფილიპინელ დიდოსტატ ე. ტორესთან პირველ ტურში გამოტოვებული პარტია და დამარცხდა.

ფეხბურთი. პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის ორი მატჩის (ქუთაისის „ტორპედო"-ოდესის ასკ — 1:0, ლანჩხუთის „გურია"-ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი" — 1:1) შედეგები მკითხველმა უკვე იცის. ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ზარია"-„კრილია სოვეტოვი" — 2:0, „მეტალისტი"-„ურალმაში" — 2:1, „დნეპრი"-„კუზბასი" — 1;0, „კოლოსი"-ხაბაროვსკის ასკ — 4:0, „ნისტრუ"-„შინიკი" — 0:1, სტავროპოლის „დინამო"-„ფაკელი" — 2:0, ორჯონიკიძის „სპარტაკი"-„ალგირისი" — 1:1, ნალჩიკის „სპარტაკი"-„ისკრა" — 3:0.

საწყობის თემაზე



ლ. მართაშვილის ნახატი.

6 აპრილი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლაგიდის ვიტრაჟები" (ფ.), 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფ.), 10.30 — „მაღვიძარა" (მ.). 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები" (განმეორებით. ფ.), 11.45 — კინონარკვევი, 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „დილის ფოსტა" — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.15 — „დღეს გეოლოგის დღეა" (მ.), 13.30 — ტელეკურსი სკოლისათვის ქართული ენა და ლიტერატურა (ფ.), 14.00 — „ცეროდენას ეკრანი", 14.30 — „მუსიკალური კიოსკი" (მ.), 15.00 — „ვესტნიკი" (ფ.), 15.30 — ქართული მხატვრული ფილმი „დაკარგული სამოთხე", 17.00— „კინომოგზაურობის კლუბი" (მ.), 18.00 — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ლენინთან კრემლში". შვიდეულ რა პირველი (მ.), 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.), 19.45 — „კინოაფიშა". 20.15 — „მეტროპოლიტენ ოპერის ვარსკვლავები", 21.00 — „მოამბე" (ფ.), 21.30 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სატელევიზიო ჟურნალი „ლიტერატურული ცხოვრება" — აფხაზეთის მწერლებთან" (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.10 — ბავშვებისათვის — გასართობი კინოპროგრამა, 16.10 — მუსიკალური ფილმი, 17.00 — „ნოე ჟორდანია" hmm

თეატრი

6 აპრილი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **სევილიელი დალაქი** (დღისით), **ერთმოქმედებიანი ბალეტები** (საღამოს); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **პეპო** (დღისით), **როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის** (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ჯორდანო ბრუნო** (დღისით და საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **რძლები** (დღისით), **სევილიელი დალაქი** (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — **ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები** (დღისით და საღამოს); კინომსახიობთა სახლი — **საქმე.**

რედაქტორი **გ. გედინეიშვილი**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02125 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29,

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20